3538

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 18 აპრილი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 16 (175) ფასი 30 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესია

საინფორმაციო ცნობა

10 აპრილს, დღის 11 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრში შედგა საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. დ. კოჭლამაზაშვილი.

დღის წესრიგშია კამათი საქართველოს სს რესპუბლიკის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ლ. ა. რუხაძემ (პირველი ოლქი, წულუკიძის რაიონი), ა. ა. ვასაძემ (კიროვის ოლქი, კიროვის რაიონი), ს. მ. დონაძემ (უწერის ოლქი, ონის რაიონი), ს. ი. ბუაძემ (სუფსის ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), ი. დ. გორდეზიანმა (ბერიას ოლქი, ქ. ბათუმი), ა. ი. ჯანელიძემ (ჭრებალოს ოლქი, ამბროლაურის რაიონი), ა. ა. გიგოშვილმა (ნაფარეულის ოლქი, თელავის რაიონი), მ. მ. კრიჭიაშვილმა (ყვარლის ოლქი, ყვარლის რაიონი), გ. ი. ანდღულაძემ (კაცხის ოლქი, ჭიათურის რაიონი), ვ. ბ. გოგუამ (კასპის ოლქი, კასპის რაიონი), ნ. ვ. გაბუნიამ (ძერჟინსკის ოლქი, ქალ. თბილისი), ა. გ. ჯაფარიძემ (სორის ოლქი, ონის რაიონი).

ამით დამთავრდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს V სესიის მეოთხე სხდომა.

○

10 აპრილს, საღამოს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შედგა საქართველოს სს რესუბლიკის უმაღლესი საბჭოს V სესიის მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. დ. კოჭლამაზაშვილი.

დღის წესრიგშია: საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.

დეპუტატ ი. მ. რუხაძის (მუხრანის ოლქი, მცხეთის რაიონი) გამოსვლის შემდეგ სესიამ მოისმინა მომხსენებლის — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის, დეპუტატ კ. ს. ციმაკურიძისა და თანამომხსენებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ გ. ე. ნარსიას საბოლოო სიტყვები.

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადადის საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კენჭისყრასა და დამტკიცებაზე.

უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს იხილავს და ამტკიცებს შემოსავალთა ცალკეული წყაროების მიხედვით, საგასავლო ნაწილში — ასიგნობათა საერთო ჯამებით, უწყებათა მიხედვით ხარჯების აღნიშვნით, ხოლო საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს — მუხლობრივი კენჭისყრით.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა — მუხლობრივ, შემდეგ კი მთლიანად „კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

სესია გადადის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნებზე. სესიამ ერთხმად აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები და სახალხო მსაჯულები.

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ განიხილა სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხი: საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 13, 19, 50, 55, 56 და 107 მუხლების ცვლილება-დამატებისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მესამე და მეხუთე სესიების შუაპერიოდში და რომლებიც უნდა დაამტკიცოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა, დეპუტატმა ვ. ი. ეგნატაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო „კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 13, 19, 50, 55, 56 და 107 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის ცვლილების, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25 მუხლის შეცვლისა და XXVI თავის მე-3 კარის (მუხ. 366-371) გაუქმების შესახებ, საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგიერთ მუხლის ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად — მაკარ ივანეს-ძე ჯაში;

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად — სიმონ ნიკოლოზის-ძე მაჭავარიანი;

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად — გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად — ვარლამ ალექსის-ძე ქაქუჩაია;

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად — ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავა;

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საქართველოს სს რესპუბლიკაში — ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მ. ი. ჯაშის დანიშვნის შესახებ.

რადგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, დეპუტატი მ. ი. ჯაში დანიშნულია საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად და, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო პრეზიდიუმის წევრი დეპუტატი ი. ვ. ტიულენევი სამუშაოდ გადაყვანილია საქართველოს სს რესპუბლიკის გარეთ, სესიამ ამხ. ჯაში და ამხ. ტიულენევი გაათავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრობის მოვალეობისაგან.

სესიამ ერთხმად აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად დეპუტატები ა. ი. ჯანელიძე, ვ. დ. ბუჯიაშვილი და ი. ო. მოსაშვილი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. დ. კოჭლამაზაშვილმა სესიას აცნობა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის დღის წესრიგი ამოწურულია და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესია დახურულად გამოაცხადა.

ტმხანაგი ლავრენტი ბერია კალინინის ტლმართის მშენებლობაზე.

მხატ. ელ. ახვლედიანი.

ნეიტრალიტეტის პაქტის დადება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის

იმ მოლაპარაკების შედეგად, რაც უკანასკნელი დღეების განმავლობაში მიმდინარეობდა მოსკოვში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვსა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ იოსუკე მაცუოკას შორის, 13 აპრილს ხელმოწერილ იქნა ნეიტრალიტეტის პაქტი საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის, აგრეთვე დეკლარაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მანჯოუგოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხლებლობის ურთიერთი პატივისცემის შესახებ.

მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ამხანაგი სტალინი, ხოლო იაპონიის მხრივ — იაპონიის მოსკოველი ელჩი ბ-ნი ტატეკავა.

ქვევით მოგვყავს პაქტისა და დეკლარაციის ტექსტი:

პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მისმა უდიდებულესობამ იაპონიის იმპერატორმა, რომლებსაც ამოძრავებთ სურვილი — განამტკიცონ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის, გადასწყვიტეს დასდონ პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ, და ამ მიზნით თავის რწმუნებულებად დანიშნეს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი;

მისმა უდიდებულესობამ იაპონიის იმპერატორმა:

იოსუკე მაცუოკა, საგარეო საქმეთა მინისტრი, ჟიუსანმი, საღმრთო საუნჯის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, და

იოსიცუგუ ტატეკავა, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, გენერალ-ლეიტენანტი, ჟიუსანმი, ამომავალი მზის პირველი ხარისხის ორდენისა და ოქროს ძერის მეოთხე ხარისხის ორდენის კავალერი,

რომლებიც, მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთს წარუდგინეს თავიანთი სათანადო რწმუნებანი, რომლებიც ცნობილ იქნენ სათანადო და კანონიერი ფორმით შედგენილად, შესთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი პირველი

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე კისრულობს იქონიონ ერთმანეთს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა და ურთიერთი პატივისცემით მოეპყრონ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიულ მთლიანობასა და ხელშეუხლებლობას.

მუხლი მეორე

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე ერთი ან რამდენიმე მესამე სახელმწიფოს მხრივ საომარი მოქმედების ობიექტი გახდება, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე ნეიტრალიტეტს დაიცავს მთელი კონფლიქტის განმავლობაში.

მუხლი მესამე

ეს პაქტი ძალაში შედის დღიდან მისი რატიფიკაციისა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მიერ და ძალაში რჩება ხუთი წლის განმავლობაში. უკეთუ ხელშეკრულების დამდები არცერთი მხარე არ მოახდენს პაქტის დენონსირებას ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე, მას ავტომატურად გაუგრძელდება ვადა შემდგომი ხუთი წლისათვის.

მუხლი მეოთხე

ეს პაქტი რატიფიცირებულ უნდა იქნას შესაძლო მოკლე ვადაში. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უნდა მოხდეს ტოკიოში, აგრეთვე შესაძლო მოკლე ვადაში.

რის დასადასტურებლადაც ზემოხსენებულმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ პაქტს ორ ცალად, რომლებიც შედგენილია რუსულ და იაპონურ ენაზე, და დაასვეს მათ თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია მოსკოვში 1941 წლის 13 აპრილს, რაც შეესაბამება მე-16 სიოვის მეოთხე თვის მე-13 დღეს.

ვ. მოლოტოვი

იოსუკე მაცუოკა
იოსიცუგუ ტატეკავა

დეკლარაცია

სსრ კავშირსა და იაპონიას შორის 1941 წლის 13 აპრილს დადებული ნეიტრალიტეტის პაქტის ხასიათის შესაბამისად, სსრ კავშირის მთავრობა და იაპონიის მთავრობა, ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, საჯაროდ აცხადებენ, რომ სსრ კავშირი კისრულობს პატივი სცეს მანჯოუ-გოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ხელშეუხლებლობას, ხოლო იაპონია კისრულობს პატივი სცეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და ხელშეუხებლობას.

მოსკოვი, 1941 წლის 13 აპრილი.

სსრ კავშირის მთავრობის მინდობილობით
ვ. მოლოტოვი

იაპონიის მთავრობის მაგიერ
იოსუკე მაცუოკა
იოსიცუგუ ტატეკავა.

325 წელი შექსპირის გარდაცვალებიდან

საჯარო ბიბლიოთეკაში

23 აპრილს სრულდება 325 წელი გენიალური ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის გარდაცვალებიდან. ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად კარლ მარქსის სახელობის საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა აწყობს დიდ გამოფენას, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება დიდი დრამატურგის ნაწარმოებები, მისი ტრაგედიების გამოცემები სხვადასხვა ენაზე, კრიტიკული და ისტორიული წერილები, ტრაგედიების დადგმების მიმოხილვა საბჭოთა სცენაზე, მათი სურათები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შექსპირის ნაწარმოებების გავრცელებას საქართველოში, ნაჩვენები იქნება ქართული თარგმანები, ქართული თეატრების დადგმების მიმოხილვა და სხვ.

23 აპრილს ბიბლიოთეკა მკითხველთა და თანამშრომელთათვის გამართავს საღამოს, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება: „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება“.

წითელი არმიის სახლში

23 აპრილს შექსპირის გარდაცვალებიდან 325 წლისთავის შესრულების გამო ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის სახლში მეთაურთათვის, მათი ცოლებისა და პოლიტმუშაკებისათვის მოეწყობა შექსპირის საღამო, რომელზედაც პროფ. კ. კაპანელი წაიკითხავს მოხსენებას: „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება“ ბიბლიოთეკა მოაწყობს შექსპირის ნაწარმოებებისა და მის გარშემო არსებული კრიტიკული წერილების გამოფენას.

სტალინური პრემიის ლაურეატების შეხვედრა პრესის მუშაკებთან

10 აპრილს გაზ. „კომუნისტის“ რედაქციამ „კომუნისტის“ გამომცემლობის კომბინატის კლუბში მოაწყო მუშა-კორესპონდენტებისა და ძირეული პრესის მუშაკთა აქტივის შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატ მწერლებთან **ლეო ქიაჩელთან** და **გიორგი ლეონიძესთან.**

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგემ ამხ. ბიძინა აბულაძემ.

სტალინური პრემიის ლაურეატ მწერლების შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ირაკლი აბაშიძე. მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა ლეო ქიაჩელისა და გიორგი ლეონიძის ადგილი და როლი ქართულ ლიტერატურაში და გააცნო დამსწრე საზოგადოებას მათი უკანასკნელი დიდი ნაწარმოებნი: ლ. ქიაჩელის — „გვადი ბიგვა“ და გ. ლეონიძის — „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“, რომელთა გამო ეს მწერლები დაჯილდოებულ იქნენ სტალინური პრემიით.

მოხსენების შემდეგ თავიანთ სამწერლო მუშაობასა, მხატვრულ ხერხებსა და მეთოდზე ილაპარაკეს სტალინური პრემიის ლაურეატმა მწერლებმა.

ლეო ქიაჩელმა ილაპარაკა მწერლის წმინდა მოვალეობაზე, აღნიშნა, რა დიდ მასალას აძლევს მწერალს თანამედროვეობა და რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრას მწერალი, რა ჟანრშიც არ უნდა მუშაობდეს იგი, ყოველ თემას. თავისი რომანის შესახებ ლეო ქიაჩელმა სთქვა: ერთ-ერთი თავისებური ღირსება, რომლითაც „გვადი ბიგვა“ იმსახურებს მკითხველის ყურადღებას და განსაკუთრებულ ადგილს იჭერს თანამედროვე საბჭოთა პროზაში, არის დიდი მოვლენების მოცემა პატარა ნიშანდობლივ ამბებში.

გ. ლეონიძემ ილაპარაკა იმ დიდ გავლენაზე, რომელიც მოახდინა ლ. **ბერიას** ისტორიულმა წიგნმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ მწერლებისა და საერთოდ ხელოვნების მუშაკთა მუშაობაზე. პირადად მე, — განაცხადა გ. ლეონიძემ, — ლ. **ბერიას** ამ სახელგანთქმულმა წიგნმა შთამაგონა დამეწერა ეპოპეა დიდი **სტალინის** ცხოვრებისა და რევოლუციური მუშაობის შესახებ. შემდეგ გ. ლეონიძემ პრესის მუშაკებს გააცნო თავისი შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის გეგმა.

სტალინური პრემიის ლაურეატ მწერლების პატივსაცემად მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: **სტალინის** სახელობის ვაგონსარემონტო ქარხნიდან — მუშა მწერალი ივანე ნაზარბეგოვი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკიდან — მუშკორი ციალა ბარამიძე. მათ აღნიშნეს, რა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვამ“ და გ. ლეონიძის „ბელადის ბავშვობამ და ყრმობამ“ მუშა-მკითხველებში.

სტალინური პრემიის ლაურეატ მწერლებს მიესალმა ორდენოსანი პოეტი სიმონ ჩიქოვანი. მან წაიკითხა გ. ლეონიძის ორი ლექსი „სიმღერა პირველი თოვლისა“ და „ციცარი“.

დასასრულ, სტალინური პრემიის ლაურეატმა მწერლებმა წაიკითხეს საკუთარი ნაწარმოებნი: ლ. ქიაჩელმა— ნოველა „სტალინი“, გ. ლეონიძემ — ადგილები პოემიდან „ქართლის ბალი“, „სისხლიანი მიწა“ და „თქვენი რიგია, ახლებო“.

გ. ლეონიძის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ალ. გომიაშვილმა „სტალინს“ და „ვეფხის ტყაოსანს“, გ. კაჭახიძემ — „ვაჟაფშაველას ნეშტს“ და „ნინო ჭავჭავაძეს“.

მუშა-კორესპონდენტებისა და ძირეული პრესის მუშაკთა აქტივის შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატ მწერლებთან სახკინმრეწვის მიერ გადაღებულ იქნა კინოჟურნალისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესია

კამათი საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ ი. ო. მოსაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მხოლოდ ერთი თვეა მას შემდეგ, რაც ბედნიერმა ქართველმა ხალხმა უდიდესი ზეიმით აღნიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლისთავი, — ეს ყველაზე უბრწყინვალესი თარიღი მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

ეს ოცი ბედნიერი წელი, ეს ჩვენი ქვეყნის განახლების და აღორძინების, ჩვენი ხალხის სიხარულის და საამური ცხოვრების დიადი დღეები, თვალნათლივ და მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ, საქართველოს სს რესპუბლიკის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამხანაგებო, ამ მიღწევების და გამარჯვებების, ჩვენი ხალხის ამ სანუკვარი ბედნიერების სულისჩამდგმელი და შემომქმედი არის ჩვენი მამა და მასწავლებელი, ჩვენი დიდი **სტალინი.**

საქართველოს სსრ 1941 წლის, ჩვენს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველი ციფრი გამოხატავს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის უსწრაფეს, განუხრელ ზრდას, ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შეუნელებელ ტემპებს, ჩვენი ახალი სოციალისტური კულტურის შინებისა და ზრდის ბუმბერაზულ მასშტაბს, რომლის მსგავსი არცერთ დროში, არც ერთ ხალხსა და ქვეყანას არასოდეს არა ჰქონია.

ამის მჭერმეტყველ საბუთად საკმარისია იმის დასახელებაც, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომლის საერთო თანხა 1.233.760.000 მანეთს შეადგენს, მარტო სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების საქმეებზე ნავარაუდევია დაიხარჯოს 817.621.000 მანეთი, ხოლო აქედან სახალხო განათლებაზე — 539.841.000 მანეთი და ხელოვნებაზე ცალკე — 46.000.000 მანეთზე მეტი.

ძაშინ, როდესაც საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს გადაღმა, მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომის შავი ხანძარი ანადგურებს ხალხებსა და ქვეყნებს; როდესაც მრავალმილიონიანი ქალაქების და სოფლების ნაცარსა და ნანგრევებში სამუდამოდ იმარხება, რაც კი დღემდე კაცობრიობის მოწინავე აზროვნებისა და ხელოვნების უდიდეს ოსტატებს შეუქმნიათ, ჩვენს ბედნიერ სამშობლოში, საბჭოთა მოავრობის ბრძნული სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის მეოხებით, იზრდება და იფურჩქნება ახალი სოციალისტური კულტურა, ხელოვნება და ლიტერატურა, იქმნება ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის ღირსეულად ამსახველი ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ ყველას გახსოვთ საკავშირო სახკომსაბჭოს ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნებული დადგენილება საბჭოთა გამომგონებლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ უდიდეს მზრუნველობას, რომელსაც ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** მუდმივად იჩენდნენ და იჩენენ ჩვენი მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი. ეს უდიდესი შეფასება და ჯილდო საქართველოს ხელოვნების მრავალ მუშაკსა და მეცნიერსაც ხვდა. ქართველი საბჭოთა მწერლები ვამაყობთ, რომ ორმა ჩვენმა ნიჭიერმა ამხანაგმა დაიმსახურა სტალინის პრემიის ლაურეატის საპატიო სახელწოდება.

ქართველი ხალხის საამაყო შვილმა, ქართული მწერლობის დიდმა მოამაგემ ამხანაგმა **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ,** საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობის ტრიბუნიდან საბჭოთა მწერლებს გვითხრა: „საბჭოთა მწერალი უნდა იყოს ადამიანი, პირველ ყოვლისა საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო და ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. ის უნდა იყოს გულწრფელი და მართალი თავის ნაწარმოებებში და ანმტკიცებდეს კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან“.

ქართველ საბჭოთა მწერლებს არასოდეს დაავიწყდებათ ქართველი ხალხის დიდი მოჭირნახულის ეს შესანიშნავი მითითება. უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველი მწერლები გულმოდგინედ მუშაობდნენ ჩვენი გმირული თანამედროვეობის ასახვისათვის ლიტერატურაში. განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობდნენ ისინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლ-

ების დამყარების ოცი წლისთავის დიადი თარიღის ღირსეულად შესახვედრად.

ქართველმა მწერლებმა ამ თარიღს არაერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები უძღვნეს. ქართველი საბჭოთა მწერლების კოლექტიური წიგნი — ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული კრებული, უკვე ფართო პოპულარობით სარგებლობს მკითხველ მასებში. გარდა ამ კრებულისა, გამოიცა საბჭოთა მწერლების ოკამდე სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, რომლებიც მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. უკანასკნელი წლის განმავლობაში, ქართველმა მწერლებმა ავრეთვე მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხების კლასიკოსების და მოწინავე საბჭოთა მწერლების თარგმანების საქმეში.

ქართულ ენაზე უკვე თარგმნილია და წიგნებად გამოსული უკრაინის, აფხაზეთის და ოსეთის მწერალთა ნაწარმოებნი. ითარგმნება და მზადდება გამოსაცემად რუსული პოეზიის დიდი ანთოლოგია, მიმდინარე წელს გამოვა უკრაინის საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, უკრაინული მწერლობის დიდი კლასიკოსის ფრანკოს ნაწარმოებთა კრებული და ბელორუსიის სახალხო პოეტის ი. კუპალას ლექსების ერთტომეული.

ამავე დროს, ქართველი საბჭოთა მწერლები ემზადებიან განსაკუთრებით აღნიშნონ დიდი რუსი ხალხის გენიალური პოეტის ლერმონტოვის იუბილე, რომლის ნაწარმოებნი თითქმის უკვე მთლიანად თარგმნილია და გამზადებულია გამოსაცემად.

ასევე ემზადება ქართველი საბჭოთა მწერლობა აზერბაიჯანის უკვდავი კლასიკოსის ნიზამის და მოძმე უზბეკი ხალხის გენიალური ნავოის იუბილეებისათვის, რომელთა ნაწარმოებების თარგმანიც ავრეთვე მოკლე ხანში იქნება დასრულებული.

ქართველი საბჭოთა მწერლები უკვე შეუდგნენ მზადებას დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდახუთი წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მიუხედავად ამ დიდი მუშაობისა, ქართულ საბჭოთა მწერლობის წინაშე ჯერ კიდევ ძალაში რჩება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძმიანის ამხ. კ. ჩარკვიანის მითითება, რომ: „საბჭოთა მკითხველმა ლიტერატურაში პირველ რიგში უნდა ნახოს სტალინური ეპოქის ადამიანები, რომელნიც გვიჩვენებენ უმაგალითო გმირობისა **და** თავდადების, კომუნიზმის საკაცობრიო-ისტორიული დიადი საქმისადმი უანგარო ერთგულების ნიმუშებს“.

ამ მიმართულებით ქართველ საბჭოთა მწერლებს ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. მაგრამ ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რომელიც ქართულ საბჭოთა მწერლობას არასოდეს არ მოჰკლებია ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოებიდან და ის დიდი სიყვარული, რომელიც თვითეულ საბჭოთა მწერალს დაექვს თავის გულით ჩვენი დიადი სამშობლოსა და ჩვენი დიდი ბელადისადმი, გაგვიადვილებს ამ საპატიო ამოცანის ღირსეულად შესრულებას.

ისე, როგორც ჩვენ წინაშე განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის თვითეული მანეთი ჩვენი ხალხის კეთილდღეობისაკენ, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისაკენ არის მიმართული, ჩვენი, — საბჭოთა მწერლების — თვითეული სიტყვაცა და სტრიქონიც, თვითეული ჩვენგანის გულისცემა აქეთკენვეა მიმართული.

ისე, როგორც ჩვენს წინაშე წარმოდგენილი ბიუჯეტის მთლიანად და უნაკლოდ შესრულება ნიშნავს ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების ზრდასა და განმტკიცებას, როგორც ყოველი დაზოგვილი მანეთი ნიშნავს ახალ ტანკებს, თვითმფრინავებსა და გემებს ჩვენი უძლეველი წითელი არმიისა და ფლოტისთვის, ჩვენი ლენინის თვითეული სტრიქონიც აყღერებული იქნება იმ გმირების დიდებისათვის, რომელთაც ამ ერთ წელიწადში თერთმეტი მოძმე რესპუბლიკის დროშა ხუთი ახალი მოძმე რესპუბლიკის დროშებით გაამრავლეს.

და თუ ჩვენმა დიდმა კლასიკოსებმა თავის სიცოცხლე უბედურ სამშობლოზე გლოვასა და ზუხლილში დალიეს, ჩვენ — საბჭოთა მწერლებს, ვალად დაგვედო — დღეს უკვე ბედნიერსა და განახლებულ სამშობლოს ვუოხრათ მათ მიერ უთქმელი სიმღერები:

ჩემო სამშობლოვ, როგორ მალაღებ.
ყველგან სიამით სავსე გულია.
შეეხიდავ შენს ცას, სოფლებს, ქალაქებს,
მწიფე ყანებს და რძიან ბალახებს —
სიცოცხლე მართლა სიხარულია.

მოვა ბნათობი — ყოველის მშობელი
გაეახელ თვალს და მღერა მინდება.
დილა ბედნიერ ამბის მთხრობელი.
როგორც ფრინველი მახარობელი
ჩემს ქვეყანაში შემოფრინდება

გააღეთ კარი, რა ხალისია
სიზმარია თუ ნატვრა ცხადდება
ცაზე არც ბინდი და არც ნისლია,
და ეს ამრილის დილა ისევ —
როგორც ახალი მზის დაბადება.

გააღეთ კარი, გაზსენით გული,
ჩვენთვის მოსულა ეს მზეც და დროცა,
მას მივცეთ გულიც და სიყვარულიც,
ვინც მოგვიტანა ეს სიხარული
და ბედნიერი სამშობლო მოგვცა.

ვინც თავდადებულ ჭიდილში მტერთან
სჭედდა ლენინის გმირულ პარტიას
და ჩვენი ქვეყნის გმირებთან ერთად,
თავის უკვდავი მარჯვენით სწერდა
გამარჯვებული ხალხის, წარტიას!

ვუთხრათ მადლობა და იყოს მისი
ჩვენი გული და ჩვენი გონება
დე საერთო ხმა სამშობლო მიწის,
როგორც საქვეყნო სიტყვა და ფიქრი
მას მივუტანოთ მილიონებმა.

მას მივუტანოთ საყვარელ ბელადს,
ალმის, რკინის, და მიწის მგონებმა,
რადგან საბჭოთა მხარეში ყველას —
ცხადად გვიქცია ტკბილი ოცნება!

იყოს დღეგრძელი და დიდხანს სიცოცხლობდეს — ჩვენი დიდი **სტალინი!**

(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

ორი ლექსი

ი. ფრანკო

ოღგასაღმი

გზაზე გავლისას ხშირად შევხვდები
ქვრივ-ობლებს, ვისი ტანჯვაც დიდია,
მომაშტერებენ თვალებს ვედრებით
და წყალობისთვის ხელებს მიწვდიან.
შიშვლები დგანან თოვლში ისინი,
ყინვაში არ აქვთ ფეხსაცმელები,
ისმის მწუხარე მათი ქვითინი
და ნაკვერცხლებად სცვივათ ცრემლები.
შევხედავ მათ და ვიფიქრებ უცებ:
როცა მეც მიწა დამფარავს ბნელი,
შენც, ალბათ, მათებრ გაჰყვები ქუჩებს
პურის სათხოვრად გაწვდილი ხელით.

და შენი სახე, სახე, რომელიც
ახლა მინათებს თვალს იმედებად,
ჩაქრება სევდით განუზომელით
და თვალთა შუქი დაგიბნელდება.
დაობლებული ჩვენი შვილები
გვერდს აუვლიან ბავშვებს იღბლიანს,
ფეხშიშველები, ხელგაწვდილები
ისინიც, ალბათ, ასე ივლიან.
უკანასკნელ გროშს ვაძლევ და ხელი
მითრთის, წყალობას თქვენ მთხოვდეთ თითქოს,
იქნებ ჩემსავით ვინმე გამვლელი
თქვენს წინაც შედგეს და გაგიკითხოსთ.

კ. პ-საღმი

გოგონავ, ნაზი ყვავილის დარო,
ისრის მტყორცნელო თვალით და ენით,
ვინც გნახავს, როგორ არ შეგიყვაროს,
ან დავიწყება ვით შესძლოს შენი.
ოღონდ ერთს გეტყვი, მისმინე წყნარად,
სიტყვისთვის რისხვას როდი მოველი,
შენ ფიქრობ: მისთვის ვინც შეგიყვარა,
ეს სიყვარული იყოს ყოველი.
თუ ის შენს გამო ბრძოლას დასტოვებს,
ოდეს მოძმენი იბრძვიან მისი,
თუ არ დახვდება რისხვით ბატონებს,
ის სიყვარულის არ არის ღირსი.
განა ხვევნა და ენატკბილობა
კმარა, ომში რომ წავლენ გმირები?
თუ არ შეუხვევ ვაჟკაცს ჭრილობას,
შენ სიყვარულად არ ეღირები.
თვალებს ხომ მუდამ ვერ დახრი ნაზად,
ხმას მუდამ ტკბილად ვერ ახმიანებ,
და მაშინ ბნელი უდაბნოს მსგავსად,
რითღა მოხიბლავ ადამიანებს.

თარგმანი ბრ. აბაშიძისა

„ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“

ა. ღლონტი

პროფ. ალ. ბარამიძემ ამას წინათ გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო წიგნი — „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წ. II“. „ნარკვევების“ პირველი წიგნი ავტორმა 1932 წელს გამოსცა, რამაც თავის დროზე ცხოველი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტთა წრეში. მეორე წიგნის გამოსვლა უსათუოდ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. აკად. კ. კეკელიძის ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I“ და პროფ. ალ. ბარამიძის „ნარკვევებით“, რომლებიც წელს გამოსცა **სტალინის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ, მკითხველთა საზოგადოებრივობამ, პირველ რიგში კი — სტუდენტობამ, მიიღო ძვირფასი სახელმძღვანელოები ქართული კლასიკური კულტურის შესასწავლად.

„ნარკვევებში“ შეტანილი მასალის ჩამოთვლაც კი ნათელჰყოფს წიგნის ღირსებას. შაჰ-ნამე ფირდოუსისა, რუსუდანიანი, თეიმურაზ I, არჩილი, საბა, გურამიშვილი, საიათნოვა, ბესიკი, ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი, გ. საკაძე, თეიმურაზ II, მელის წიგნი, ნარგიზოვანი, — აი XVI-XVIII საუკუნეების ის მწერლები და ლიტერატურული ძეგლები, რომელთა შესახებაც ავტორი სხვადასხვა დროს აქვეყნებდა მონოგრაფიებსა და სტატიებს, ახლა კი მთელი ეს მასალა თავმოყრილია ერთ კრებულში და გამოცემულია „ნარკვევების“ სახით.

„ნარკვევები“ იხსნება ზოგადი მიმოხილვით: „ძველი ქართული მწერლობის მესამე პერიოდი“. ეს არის საქართველოს დაცემის ეპოქა, როცა ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა აღმოსავლეთელ და დასავლეთელ მეზობელთა განუწყვეტელი რბევის ობიექტს. ხალხის ტანჯვას აორკეცებდა სარწმუნოებრივი ფანატიზმი და მსხვილ ფეოდალთა გაუთავებელი ინტრიგები, რასაც, მტერთა საამებლად, ძმათა შორის სისხლის ღვრა მოსდევდა. „ასეთ პირობებში ნომინალური ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა, — სწერს სამართლიანად ავტორი, — მუდამ მერყეევი იყო, ორჭოფი, გაუბედავი. ის ხან ერთ გამარჯვებულ მხარეს მიეკედლებოდა, ხან მეორეს. ორიენტაციის კურსის ხშირი ცვლა ამ ხელისუფლების პოლიტიკური საქმიანობის ერთერთ ძირითად მომენტს შეადგენდა. ორიენტაციის ძიებამ საქართველო ადრიდანვე შეახვედრა აღორძინების გზაზე „შემდგარ ჩრდილოეთის „ერთმორწმუნე“ მეზობელს“ (გვ. 5). საქართველოს აღმოსავლეთელი მეზობელი ირანი, ქართლ-კახეთში მბრძანებლობდა. დასავლეთელი—ოსმალეთი კი ჰფლობდა დასავლეთ საქართველოს. იმავე დროს, ქართველი მეფეებისა და თვით რუსეთის მმართველი წრეების გარკვეული სურვილის თანახმად აღებულ იქნა კურსი რუსეთთან დაახლოვებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მონღოლების შემოსევიდან, ე. ი. XIII საუკუნიდან, იწყება ფეოდალური მონარქიის რღვევის შეუჩერებელი პროცესი და დგება ფეოდალური რეაქციის ეპოქა. ეს ხანა გრძელდება XVIII საუკუნის დასასრულამდის და მთავრდება XIX საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა ღონემიხდილმა საქართველომ თავისი თავი რუსეთის მეფის კალთას შეაფარა.

პროფ. ალ. ბარამიძე უკუაგდებს ძველი ქართული ლიტერატურის ე. წ. „აღორძინების პერიოდის“ ტრადიციულ კლასიფიკაციას. აქამდის ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარნი მიგვითითებდნენ, რომ ე. წ. მესამე პერიოდი ორ ხანად იყოფაო, სახელდობრ გამოჰყოფდნენ დაცემისა (XIII-XV საუკ.) და აღორძინების (XVI-XVIII საუკ.) ხანას. ავტორი მთელ ამ პერიოდს ძირითადად ერთ მთლიან ისტორიულ ეპოქად მიიჩნევს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს ამაში, რადგან, თუ დაცემაზე ვილაპარაკებთ, იგი არა ნაკლებად ახასიათებდა XVI საუკუნეს და მის მომდევნო დროს.

მთელ მესამე პერიოდს, ავტორის დაკვირვებით, აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული პოეზიის გავლენა ამჩნევია. ამ შეხედულებას საფუძვლად უდევს თეიმურაზ პირველის განცხადება: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. სპარსული გავლენა, ცხადია, პოლიტიკური მიზეზებითაც იყო გამოწვეული. უდაოა, რომ „სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ თანამშრომლობას ჰქმნიდა ორივე ქვეყნის გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის ლიტერატურულ ინტერესთა ერთიანობა“. რამდენადაც მწერლობას უმთავრესად პრივილეგიური წოდების პირები ეტანებოდნენ, ისინი ზოგჯერ, თავიანთი პოლიტიკური ორიენტაციის სულ სხვა ხასიათის მიუხედავად, სპარსული მწერლობის გავლენით ჰქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს (ეს, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ისინი სპარსული კულტურის ნიადაგზე, თვით შაჰის კარზე იზრდებოდნენ). ამის ნიმუშს თეიმურაზ პირველი წარმოადგენს. იგი არ იყო სპარსეთის პოლიტიკური ორიენტაციის მოტრფიალე, მაგრამ „იმავე დროს სპარსული ლიტერატურული კურსის ყველაზე ბეჯითი წარმომადგენელია საქართველოში“.

ავტორი მართებულად იქცევა, როცა ვრცლად იხილავს რუსული კულტურის გავლენის საკითხს. ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან იწყება ქართველთა ურთიერთობა რუსეთთან. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში მოღვაწეობდა პოეტი მეფე არჩილი. 1724 წელს რუსეთში გადასახლდა ვახტანგ მეექვსე, მთელი ამალით, რომელშიაც შედიოდა ათას ორასამდის მოწინავე ქართველი — მწერლები, მეცნიერები, მთარგმნელები, გადამწერნი და კულტურის სხვა მუშაკნი. ამ გარემოებას არ შეიძლება არ გამოეწვია რუსულ-ქართული ლიტერატურული თანამშრომლობა. XVIII საუკუნის ბოლო ხანებში გახშირდა რუსულიდან სახელმძღვანელო წიგნების თარგმნა, დრამატიული ლიტერატურის გადმოღება და სხვ. უთარგმნიათ არა მარტო რუსულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან რუსულადაც.

XVII-XVIII საუკუნეებში შეუძლებელია არ გვქონოდა ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობა. ამ საკითხის გამოკვლევა საპატიო ამოცანად უნდა დაესახოს ჩვენი ძველი ლიტერატურის ისტორიკოსებს. თურქოლოგის დოც. ს. ჯიქიას ერთი სტატიიდან სჩანს (С. Джикия „Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках,“ კრებ. „Советское языкознание, II, Ленинград, 1936, გვ. 109-128), რომ თურქი მოგზაურები დასავლეთ საქართველოს XVII საუკუნეშიაც-კი სწვევიან, ხოლო ჩვენი მეფეები და ლიტერატორებიც კი თურქეთის სულთანის კარზე არა იშვიათად ყოფილან. სამწუხაროდ, ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე ავტორი დაკმაყოფილებულა სქოლიოში ერთი ასეთი უბრალო შენიშვნით: „XVIII საუკუნის ზოგიერთ ქართულ ძეგლს თურქულ მწერლობასთანაც უნდა ჰქონდეს კავშირი“ (გვ. 13).

გავლენის მხრით აღნიშნულ პერიოდში აღსანიშნავია ტრფიალი ქართული კლასიციზმისაკენ. აქ ლაპარაკი შეიძლება არა მარტო გავლენაზე, არამედ ეპიგონურ მიმბაძველობაზედაც. რუსთაველი და მისი პოეტური მემკვიდრეობა დროშაა, რომელიც ხელთ ეპყრათ XV-XVIII საუკუნის მწერლებს. მესამე პერიოდში ჩაისახა და განვითარდა ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება. მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო მწერლობის სასტიკი ბრძოლა საეროსთან იმ ხანად უმწვავეს ხასიათს იღებდა, საერთოდ მწერლობა მაინც მიიკვლევდა განვითარების გზას. მაგრამ ეკლესიური აზროვნების მძლავრი გავლენის ქვეშ მოღვაწეობდნენ ისეთი მწერლებიც კი, როგორიც იყვნენ თეიმურაზი, არჩილი, გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი.

„ნარკვევებში“ შეტანილია ავტორის საყურადღებო ნაშრომი „ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე“, რომელიც მან მიუძღვნა ირანის დიდი მწერლის დაბადების 1000 წლის იუბილეს.

თეიმურაზ პირველი აქ ვრცლადაა შესწავლილი (გვ. 114—162). ეს ნაშრომი სახელოვანი პოეტის ვრცელ ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ეტიუდს წარმოადგენს. თეიმურაზის ცხოვრება ნამდვილი ტრაგედია იყო, რაც მაშინდელი საქართველოს აწეწილი პოლიტიკური მდგომარეობის შედეგს წარმოადგენდა. თეიმურაზმა დაკარგა დედა, ცოლი, შვილები, ხოლო შაჰ-აბასთან წაკიდების შემდეგ მეფობაც. მისმა პოლიტიკამ ჩვენი ქვეყანა დიდ აოხრებამდის მიიყვანა. თეიმურაზის ბიოგრაფია, ერთის სიტყვით, ყველაზე ტრაგიკული თავია „ქართლის ცხოვრებაში“. მას „პოლიტიკურ კატასტროფასთან ერთად ოჯახურ ცხოვრებაშიც განსაცდელი ხვდა წილად“.

თეიმურაზის ბიოგრაფიაში, ჩვენის აზრით, სათანადო ადგილი უნდა მისცემოდა გიორგი საკაძეს. სამწუხაროდ, ავტორი მას რამდენიმე ადგილას იხსენიებს, მაგრამ ძალიან მკრთალს, უფერულ წარმოდგენას იძლევა სახალხო გმირისა და მეფე-პოეტის დამოკიდებულების შესახებ. იმ პოლიტიკურ კატასტროფებში, რომლებიც იმ ხანად საქართველოს დაატყდა თავს, ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა თეიმურაზის ურთიერთობას საკაძესთან. ამ მხარის გარკვევა, რა თქმა უნდა, უფრო მეტ ნათელს მოჰფენდა პოეტის პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებას.

პროფ. ალ. ბარამიძემ თეიმურაზ პირველი ამ ნაშრომით წარმოგვიდგინა თავისი სრული სახით. აქ პოეტის შემოქმედება განხილულია ყოველმხრივ. მკაფიოდაა ნაჩვენები პოეტის როლი და მნიშვნელობა ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების წამოწყებებში, რითაც იგი ერთ თვალსაჩინო ფიგურად გადაიქცა ძველ ქართულ ლიტერატურაში.

ასეთივე სიყვარულით არის დამუშავებული „არჩილის ცხოვრება და შემოქმედება“. არჩილსაც დაახლოებით თეიმურაზის ბედი ჰხვდა. „ნარკვევების“ ავტორმა ფარდა ახადა არჩილის ბიოგრაფიის მრავალი ბურუსით მოცულ მხარეს, კერძოდ, მან ვრცლად გვიჩვენა არჩილის დამოკიდებულება და კავშირი პეტრე პირველის რუსეთთან.

პროფ. ბარამიძის ამ ნარკვევში არჩილი განხილულია, როგორც ქართული ლექსის ერთი თვალსაჩინო ოსტატი და მშვენიერი აფორიზმების ავტორი. ნაჩვენებია მისი თემატიკური სიუხვე, მთარგმნელობითი მუშაობა და სხვ. არჩილი გვევლინება თეიმურაზის მიერ დამკვიდრებული „გაბაასების“ ჟანრის დამცველად. გაბაასება ნიშნავს გაკამათებას, პაექრობას, გაჯიბრებას. მკვლევარნი გაბაასების ანუ მუნაზარეს შემომღებლად ირანელ პოეტს **ასადს** ასახელებენ. ქართულ ლიტერატურაში კი იგი პირველად თეიმურაზს შემოუტანია (გვ. 153). მაგრამ **გაბაასების** ჟანრი თეიმურაზს ირანულიდან არ უნდა ჰქონდეს შემოტანილი. ამ ჟანრს დიდი ხანია იცნობდა ქართული ხალხური შემოქმედება. ავტორიც სქოლიოში ყრუდ შენიშნავს, რომ „ქართული ფოლკლორით ეს ჟანრი ძველთაგანვე ცნობილიო“ (გვ. 153). ქართველებს ტრადიციულად სცოდნიათ ლექსით გაკამათება, გაჯიბრება, პაექრობა. მთაში დღესაცაა შემონახული ეს წესი და მას იქ „კაფია“ ან „მილექსება“ ეწოდება (ჩვენებური კაფიობა ან მილექსება იგივე გაბაასებაა). ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ მილექსება-კაფიობა უძველესი დროიდანვე სცოდნია ქართველ ხალხს. უფრო გონივრული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ თეიმურაზმა და არჩილმა—ეს ჟანრი სპარსულიდან კი არ ისესხეს, არამედ საკუთარი მშობლიური ნიადაგიდან აიღეს. ეს პრობლემა დამუშავებას საჭიროებს, მაგრამ ერთი კია: გაბაასების ჟანრი უძველეს აშუღურ პოეზიაშიც გვხვდება. იგი არ უნდა იყოს სპეციფიკური ქართული, ისევე, როგორც იგი არ შეიძლება იყოს მხოლოდ სპარსული. გაბაასება ინტერნაციონალური გავრცელების ჟანრს უნდა წარმოადგენდეს.

„ნარკვევებში“ შეტანილია ახალი ცნობები ქართული „ალექსანდრიანის“ შესახებ (გვ. 235—246). „ალექსანდრიანი“ შეიცავს ცნობილი ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრულ თავგადასავალს, რაც საშუალო საუკუნეებში დიდად გავრცელებულ სარაინდო რომანს წარმოადგენდა. „ალექსანდრიანის“ ქართული ვერსიის წარმოშობაზე აქამდის—აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგი მის მთარგმნელად არჩილს სთვლიდა, ზოგი პეტრე ლარაძეს. აკად. კ. კეკელიძე, მაგალითად, რომანის გამლექსავად პეტრე ლარაძეს მიიჩნევს. ავტორი, „ანტონ კათალიკოსისა და იოვანე ბატონიშვილის ფრიად ავტორიტეტული მოწმობით“ სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს, ორომ „ალექსანდრიანის“ „გამწყობი“ (გამლექსავი) ყოფილა გურული პეტრე ჩხატარიშვილი (გვ. 235). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ნაშრომით უკუგდებულია პროფ. ალ. ხახანაშვილის ცხობა, თითქოს გალექსილი „ალექსანდრიანის“ სამი ცალი არსებობს, ხოლო პროზაული — მარტო ერთი. პროფ. ალ. ბარამიძეს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში უპოვია 14 ცალი პროზაული ვერსია „ალექსანდრიანისა“.

„ნარკვევებში“ მოთავსებული ეტიუდი „სულხან-საბა ორბელიანი“ მრავალ მხრით არის საინტერესო. არსებულ ლიტერატურაში ავტორი პირველი იძლევა დიდი ქართველი მწერლის, შეუდარებელი პროზაიკოსისა და პოეტის შემოქმედების ცალკეული მომენტების გაშუქებას. აქ ჩვენ ხაზს გავუსვამთ სამ გარემოებას.

პირველი. ავტორი მიგვითითებს, რომ „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ აღზრდის თავისებური დიდაქტიკური პრინციპების გადმოცემასთან ერთად, შეიცავს მეგობრობის, ძმობისა და ამხანაგობის ქებათა-ქებასაც. მეგობრობის იდეა განავითარა რუსთაველმა უკვდავ „ვეფხის-ტყაოსანში“. რუსთაველის შემდეგ პირველი მწერალი უსათუოდ საბა იყო, რომელმაც ამ ნაოელ გრძნობას ხოტბა შეასხა. მკვლევართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი პროფ. ა. ბარამიძეა, რომელმაც ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია: „ურთ-ერთ დაუნდობლობას, გაუტანლობას და შურიანობას, — სწერს იგი, — სულხანი უპირისპირებს მეგობრობას, ძმობას, ამხანაგობას. რუსთაველის შემდეგ სულხანმა მიუძღვნა ამხანაგობა-მეგობრობას შეუდარებლად მაღალგრძნობიერი, ამაღლებელი, მხურვალე პათეტიკური ჰიმნი“ (გვ. 260).

მეორე. ავტორმა დაასაბუთა, „რომ „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი იძლევა ერთგვარ დაეჭვებას ღვთიურ სამართლიანობასა და ღვთის ყოვლად შემძლებლობაში“ (გვ. 265). ამით საბა რელიგიური ფანატიზმის ზღუდეებს აღღვევს, აიდეალებს არა იმ ქვეყნიურ, არამედ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. საბა გვევლინება უაღრესად რეალისტ მწერლად.

ბოლოს, ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ „სულხან-საბა ორბელიანის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო ფოლკლორი“ (გვ. 272). „ნარკვევებში“ სამართლიანადაა მითითებული სხვა წყაროებზედაც, რომელნიც დიდ მწერალს თავის იგავ-არაკებში უნდა გამოეყენებინოს („სიბრძნე ბალავარისა“ და სხვ.).

„ნარკვევებში“ ფრიად საინტერესო, ვრცელი და ფართო ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდებია წარმოდგენილი დავით გურამიშვილის, საიათნოვას და ბესიკის შესახებ, მაგრამ, ჩვენის აზრით, ძალიან მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებენ წერილები ვახტანგ VI-ის, მამუკა ბარათაშვილის, თეიმურაზ II-ის შესახებ. მართალია, ესენი ცალკე დამატების სახით დაერთვიან „ნარკვევებს“, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, თუ მათაც ავტორი მონოგრაფიულ შრომებს მიუძღვნიდა. მით უმეტეს უნდა ითქვას ეს მრავალ მხრივ საინტერესო მოღვაწის ვახტანგის შესახებ.

ავტორის გამორკვევით ვახტანგი იმდენად სახელმოხვეჭილი პოეტი ყოფილა, რომ მას გავლენა მოუხდენია დიდებულ დავით გურამიშვილზედაც, მამუკა ბარათაშვილს კი თავის პოეტიკის სახელმძღვანელოში—„ჭაშნიკში“ „ვახტანგური“ ლექსები სპეციალურადაც შეუტანია. ჩვენთვის, სამწუხაროდ, აქამდის უცნობია ვახტანგის ლირიკა. როგორც ავტორი გადმოგვცემს, მას გამოსაცემად დამზადებული ჰქონია ვახტანგის „პოეტური მემკვიდრეობის ერთი მოზრდილი ტომი“ (გვ. 455). რაც ჩქარა გამოიცემა იგი, მით უფრო კარგი იქნება.

„ნარკვევები“ დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სამშობლო ლიტერატურის მესამე პერიოდის საფუძვლიან შესწავლას და სწორედ ეს არის მისი ფირსებაც.

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲘ

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

რად გინდა გული მგზნებარი,
თუ ქვეყნისათვის ურგი ხარ?
თუ მუდამ სხვათა მქებარი
შენ თვითონ არვის უქიხარ?

თუ არ გიგრძვნია აროდეს
გმირული საქმის ტრფიალი,
სამშობლოს რად უხაროდეს
შენი ამ ქვეყნად ტრიალი?

„ჩვენი სიცოცხლე რა არი? —
ჩიტივით გაგვიფრინდება“.
დილით მზიანი ცა არი,
საღამოს დაიბინდება.

რაზომც დარჩენა გვინდოდეს,
ჩვენს გზას წამიერ გავივლით,
ჩვენს ნაყვავილარ მინდორზე
სხვა გაიშლება ყვავილი.

დაგვრჩება მხოლოდ სახელი,
როგორც გუგუნი ფრთებისა,
როგორც მარადი ძახილი
სამშობლოს მაღალ მთებისა!

12 მარტი, 1940 წ.

ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲡ ᲛᲘᲰᲭᲝᲜᲓᲐ

ღრუბელს მიჰქონდა მზე როგორც
თასი,
სავსე ციური წითელი ღვინით.
ღრუბელს მიჰქონდა ელვარე თასი
თეთრი სადაფის კრიალა სინით.

ზღვის ზეფაპირზე გადაატარა
ლაჟვარდის ნისლში ჩასაძირავად,
ამ დროს ამოხტა ტალღა პატარა
და ფეთრი სინი ააყირავა.

წაიქცა თასი, არც ისე დიდი,
მაგრამ ულეკი ღვინო დაღვარა.
გადააწვდინა ზღვას ოქროს ხიდი
და შადრევნები ცას მიაყარა.

წითელი შუქით ზღვა იყო სავსე,
ღრუბლის არშიაც არა ჰქრებოდა,
ხოლო დაცლილი მზიური თასი
ზღვაში ნავივით იძირებოდა.

სექტემბერი, 1940 წ. ქობულეთი.

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ“

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პროფ. ს. დანელიას „ლიტერატურული და ფილოსოფიური წერილები“. კრებულში მოთავსებული წერილები მეტწილად ეხებიან ან ფილოსოფიას, ან რუსული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს.

კრებულის პირველ განყოფილებაში მოთავსებული წერილები ლიტერატურაზე შეიცავენ შემდეგ თავებს: „ლევ ტოლსტოი“, „პუშკინის ტრაგედია“, ლერმონტოვის „დემონი“ და დე-ვინის „ელოა“, „ძველი რუსეთის უდიდესი პოეტური ძეგლი“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა და მისი შესწავლის ისტორია“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა და ქართველი ხალხის წარსული“, „ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკა“, „მოცარტი და სალიერი“, „პუშკინი ქართულად“, „პუშკინი რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, „ალექსანდრე გერცენი“. კრებულის მეორე განყოფილებაში მოთავსებული წერილები ფილოსოფიაზე შეიცავენ შემდეგ თავებს: „არისტოტელის წინამორბედთა შესახებ“, „ქსენოფანეს პრობლემა“, „ზენონის დიალექტიკა“, „დავით იუმი, როგორც მოაზროვნე“, „ნ. დობროლიუბოვის პედაგოგიური იდეები“, „ბავშვთა აზროვნების საკითხისათვის“.

გარდა ამისა კრებულს დართული აქვს შენიშვნები ტექსტისათვის და სახელთა საძიებელი.

წიგნი გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 344 გვერდს და ღირს 13 მანეთად.



სახლი, სადაც დაიბადა პაიაკოვსკი.

მხატ. ვ. ცაგარელი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲯᲐᲘᲐᲡ „ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ“

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

ახალგაზრდა პოეტის ალექსანდრე საჯაიას ლექსებს მკითხველი საზოგადოება იცნობს ქართული მხატვრული პერიოდული პრესის ფურცლებიდან, სადაც ეს ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდნენ უკანასკნელი ხუთიექვსი წლის მანძილზე. ეს ლექსები ერთად თავმოყრილი, 1940 წელს გამოსცა საბლიტგამმა. აღნიშნული წიგნი პოეტის ლექსების სადებიუტო კრებულს წარმოადგენს. კრებულში შეეიდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლექსი, რომელიც კი ავტორს გამოუქვეყნებია.

ა. საჯაიას ლექსები მკითხველის ყურადღებას უპირველეს ყოვლისა თავიანთი გულწრფელი ემოციურობით იპყრობენ. შეიძლება ხანდახან შეხვდეთ სუსტ სტრიქონს, მაგრამ ყალბს კი ვერასოდეს. ფაქიზი პოეტური გრძნობა თითქმის ყოველ ლექსში სჩანს. პოემა „უტუ მიქავა“, რომელიც კრებულის პირველ განყოფილებას წარმოადგენს, ნიჭიერად ნათქვამი ცხრა პათეტიური სიმღერაა ცნობილი სახალხო გმირის უტუ მიქავას შესახებ. პოემა-თქო ვამბობთ, როგორც თვითონ ავტორმა უწოდა ამ სიმღერებს, თორემ ეს უფრო ერთ თემაზე თქმულ ცხრა ლირიკულ ლექსს წარმოადგენს. ყველა ეს ლექსი სასიმღერო ტონითაა დაწერილი. ზოგ მათგანში გაიელვებს ხოლმე სამეგრელოს ცოცხალი პეიზაჟი, ზოგშიაც კიდევ ტკბილი მეგრული ნანა.

„ეს რა ქარი აღუღუნდა, ბოში,
ეს როგორი ავდარია, ბოში,
მარტი რაღამ გადარია, ბოში,
მოდი ახლოს, მომეკარე, ნანა,
ნანა, მალე გასაზრდელო, ნანა,

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ამ ლექსებში ის არის, რომ მათში იგრძნობა სამეგრელოს მშრომელი ხალხის ბრძოლა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ თვითონ უტუ მიქავას სახე, როგორც ისტორიული სახალხო გმირისა, ამ ლექსებში თითქმის არა ჩანს. ამასთანავე ერთ ლექსს მეორესთან სუსტი შინაარსობრივი კავშირი აქვს. როდესაც ავტორი ამ ნაწარმოებს პოემას არქმევდა, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ე. წ. „განწყობილების პოემა“, რომლის ტიპიურ მაგალითად ალექსანდრე ბლოკის „თორმეტის“ დასახელება შეიძლება. ა. საჯაიას ნაწარმოებში გვხვდება პოეტურად გაუმართლებელი გამოთქმები:

„ზღვისკენ მიჰყავთ მოქანცული მეგრელ
ხეებს ნაბდიანებს
ზეცის დიდი დედოფალი, გაზაფხულის
დიდი მთვარე“.

ან მეორე ადგილას:

„და მეგრელი ქარი დილით
აბოდებდა რუსულ სიტყვებს“.

აქ პოეტს ხეები და ქარი გასულდგმულებულად აქვს წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, მაინც უხერხულად მიგვაჩნია „მეგრელი ხეებისა“ და „მეგრელი ქარის“ ხმარება.

უხერხულია აგრეთვე ძველი ქართული სიტყვების შემდეგნაირად გამოყენება:

„იყო თურმე მეფე ვილაც,
ხოხობს ვერსით ესროდა“.

ამ სიტყვებით პოეტს სურს თქვას, რომ მეფე ერთი ვერსის სიშორიდან ესროდა ხოხობსო, მაგრამ ეს აზრი დაუსრულებლად და ბუნდოვანად აქვს გამოთქმული.

წიგნის მეორე განყოფილებაში, რომლისთვისაც ავტორს „სახლი და ქვეყანა“ უწოდებია, გამოირჩევა ლექსები: „ხასანი ჩვენია“, „ბორის ძნელაძის ძეგლთან“, „ლექსები გორზე“ და „ზამთარი“. პირველი მათგანი პოეტურად კარგად გააზრებული და დაწერილი ლექსია. ხასანთან ბრძოლაში დაცემულ გმირს სისხლიან მაჯაზე საათი მოუჩანს. გმირი სისხლისაგან იცლება და საათის ისარი ისევ განაგრძობს მოძრაობას. სასახელოა სამშობლოსათვის ბრძოლაში თავის განწირვა, ცივ ლითონსაც თითქოს სული ჩაედგა:

„დღეს იგრძნო პაწია ლითონმაც
გენია სამშობლოს სიცოცხლის,
რომ ეამი გმირობის დღისთანა
არ არის სხვა. ენით უთქმელი...
რომ ბევრი წუთები ითვალა
და არსად ასეთი წუთები“.

ხალასი პოეტური გულგახსნილობით და სიყვარულით არის დაწერილი საქართველოს კომკავშირის პირველი მესვეურისადმი მიძღვნილი ლექსი: „ბორის ძნელაძის ძეგლთან“. თუმცა ეს ლექსი ქრონოლოგიურად საჯაიას ერთ-ერთი პირველი ლექსთაგანია, მაგრამ პოეტურად კრებულში მოთავსებულ არც ერთ ლექსს არ ჩამოუვარდება.

„ის კი მარად მხრებგაშლილი,
მარტო მზე და მარტო გული,
საქართველოს კომკავშირის
ფრთებგაშლილი სიყვარული.
დღეს მუნჯ ქვიდან გამოჭრილი
გადახედავს ტან თეთრ მხარეს
და მის შუბლის ნოჭივით
შეჭმუხვნილა ზამთრის ღამე“.

თავისებურად არის დაწერილი „ლექსები გორზე“:

„ვინ თქვას ლექსებით გორის დიდება
ქება ამ მზის და ქება ამ მიწის,
აქ ფესვმაგარი მუხა იზრდება
და უმკვრივესი ფოლადი იცის“.

ხალხთა დიდი ბელადის **სტალინის** შედარება მზესთან მრავალ ხალხურ, თუ ლიტერატურულად დამუშავებულ ლექსსა და სიმღერაში გვხვდება, მაგრამ როცა საჯაიას ლექსში ვკითხულობთ:

„ეს მხარე თეთრი ტყემლის თოვლიდან,
დამძიმებული მთათა მწვანეთი...
აქ დაიბადა, აქ ამოვიდა,
აქ არის ჩვენი აღმოსავლეთი“.

ეს შედარება ორიგინალურად ისმის.

კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს „ზამთარი“, რომელშიაც გადმოცემულია კახეთში, კახელებთან გატარებული ზამთრის ღამის შთაგონებით გამოწვეული აღტაცებული განწყობილება. ამ ლექსში უაღრეს სიმსუბუქესთან ერთად მკითხველს იტაცებს პოეტური გრძნობის დინჯი დინება:

„ყოველ კახეთში, თოვლში ვიყავ;
ვამაყობ ხალხით, გზით და ნახულით...
მე ჩვენებური ზამთარი მიყვარს,
მაგრამ მოცებს უფრო კახური.
ღამე არ ტირის ქარი ობოლი,
ბაკურიანში ღამე არ ცივა.
გვიან დამბერს და დიდი გომბორი
დაიგუგუნებს: „ბერი კაცი ვარ...“

საჯაიას ლექსებიდან ცალკე დგას „ცეცხლი და ქანდაკება“. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ეს ლექსი არა ჰგავს საჯაიას დანარჩენ ლექსებს თავისი პოეტური სტილით. კრებულში მოთავსებული ლექსებიდან „ცეცხლი და ქანდაკება“ შეიძლება ერთად-ერთი იყოს, რომელსაც აქვს სუჟეტი, ისე კი მისი ლექსები საერთოდ უსიუჟეტონი არიან. აზრი ამ ლექსისა ის არის, რომ ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილება უკვდავი რჩება მარად. ამ ლექსით, სადაც საჯაიას სხვა ლექსებისათვის დამახასიათებელი ემოციურობა ოდნავ შენელებულია, ავტორი გვიჩვენებს, რომ მას შეუძლიან შექმნას ისეთი ლექსები, სადაც მაღალი ემოციურობა და პოეტურად კარგად გააზრებული სუჟეტი ერთმანეთს არ გამორიცხავენ.

ბოლოს შევნიშნავთ, რომ საჯაიას ლექსებში ზოგჯერ საგრძნობია სხვა პოეტების გავლენა. მაგალითისათვის დავასახელოთ „ძველი ჩონგური“:

„წინ იყო მარტო სიბნელის ფარდა,
ტყე-ველი მუქად გადანაფერი,
სხვა არაფერი სიმღერის გარდა,
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი“.

ამ სტრიქონების წაკითხვისას გვაგონდება გალაქტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „პოეზია უპირველეს ყოველისა“.

მთლიანად ა. საჯაიას ლექსების კრებული კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. პოეტი სწორ შემოქმედებითს გზაზე სდგას, ოღონდ საჭიროა მეტი იმუშაოს.

„ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერმა მუშაკმა აპოლონ მახარაძემ დასწერა წიგნი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგის მრავალფეროვანი ცხოვრება ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავით კარიჭაშვილის მიერ 1900-იან წლებში გამოქვეყნებულ მწერლის მოკლე ბიოგრაფიას.

აპოლონ მახარაძის შრომა დაწვრილებით გადმოგვცემს ალ. ყაზბეგის მთელ ცხოვრებას და მოღვაწეობას მწერლის ბავშვობიდან გარდაცვალებამდის. წიგნი შემდეგი თავებისაგან შესდგება: 1) ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახი, ბავშვობა და ყრმობა; 2) ალექსანდრე ყაზბეგი უმაღლეს სასწავლებელში; 3) ალექსანდრე ყაზბეგი ხალხთან; 4) ალექსანდრე ყაზბეგი ოთხმოციან წლებში; 5) ალექსანდრე ყაზბეგი და ოთხმოციანი წლების ქართული პრესა; 6) ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული თეატრი; 7) ალექსანდრე ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება; 8) ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალება და დასაფლავება.

შრომაში ავტორს უხვად აქვს გამოყენებული ალ. ყაზბეგის შესახებ არსებული საარქივო მასალა, იმ ეპოქის პერიოდული გამოცემები და მწერლის გარშემო არსებული მემუარული ლიტერატურა.

აპ. მახარაძის გამოკვლევას სცემს საბლიტგამი. წიგნი უკვე დაბეჭდილია, შეიცავს 144 გვერდს და მალე გამოვა გასავრცელებლად.

„ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ“

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა გამოსცა გერონტი ქიქოძის მონოგრაფია „ერეკლე მეორე“.

წიგნი შეიცავს 151 გვერდს და ღირს 12 მანეთად.

პიონერები ზღვის პირად.

ნახ. გოგი თოთიბაძისა (თბილისის №-18 საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე).

ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

სასამართლოს დარბაზიდან შეურაცყოფილი გავიდა. კმარა! მშვიდობით! ის სამუდამოდ სტოვებს თავის პროფესიას.

საქმის წაგებას როდი ნაღვლობს. მისი კლიენტი, თუ გნებავთ, უფრო დიდი სასჯელის ღირსი იყო. არც იმ სამასი თუმნის დაკარგვას სწუხს, მოგების შემდეგ რომ მისცემდნენ თაღლითის ძმაკაცები. არა. ის მხოლოდ მსაჯულის შენიშვნამ ააღელვა. მსაჯულმა დაავლო ზარს ხელი და სიტყვა სწორედ იქ გააწყვეტინა, როცა ბრალდებულს ქვითინი უნდა დაეწყო. „მოკლედ, ნუ გაჭიანურეთო“.

გუშინდელი მენახირე არჩილს ჭკუას უნდა ასწავლიდეს! მოდი და გულზე ნუ გასკდები!

ოთხს. ქალაქის ირგვლივ მთები დაუნისლავს. არჩილი ისევ შეეპყრო სინამდვილის სიძულვილმა, ყველაფერში ნაკლს ეძებს. თითქოს ქუჩის კუთხეში აბრამ დაინტერესა გრძელი წარწერით — „საქხილბოსტანკონსერვტრესტი“. მიიხედ-მოიხედა, ფრთხილად გააფურთხა და ჩილაპარაკა: „იღუბება ქართული ენა!“.

ვერის აღმართში ერთი წუთით შეჩერდა. არც ეს გლეხი მოსწონს, კოსკთან რომ გაზეთი იყიდა.

ამ ბოლო დროს არჩილი ხშირად სვამს. ახლა, როცა მეგობრებს ველარ ჰხედავს, ღვინოა ერთად-ერთი სიხარული. რა ჰქნას? ქუჩაში ასე ეული რომ დადის, თავისი თავი იხტიოზავრი ჰგონია. ძნელია მისთვის სუნთქვა. ეჰ. ღვინო, ღვინო...

და არჩილმა ნაცნობი რესტორანისკენ აიღო გეზი. მიდის გემის ანძასავით მაღალი. უცებ ქალიშვილების ჯგუფმა ჩაუარა წინ. მიიჩქარიან.

უნებურად თვალი გააყოლა.

„სტუდენტი ქალები უნდა იყვნენ, — გაიფიქრა. — სოფლის ყოველი გოგო აქ მოდის უმაღლესი განათლების მისაღებად. მატყული ვინღა სჩეჩოს?“

რესტორანის კარი რომ შეაღო, საჩუქრებს დაჩვეულმა ოფიციანტმა **შურდულივით მიაშურა.**

— მობრძანდით, მობრძანდით! თქვენი კაბინეტი თავისუფალია. რას ინებებთ?

პალტო გაიხადა და შეუკვეთა. ყველი, თევზი, ცოტა მწვანილი. ერთი ჭიქა არაყი მადისათვის, ერთიც წინანდალი. მხოლოდ ჩქარა!

ჭაჭის არაყმა და შემდეგ ღვინომ არჩილი ჩაფიქრა. ისევ თვალწინ წარმოუდგა უბედური იხტიოზავრი. ამოწყვეტილი ჯიშის უკანასკნელი წარმომადგენელი მარტოდ-მარტო დაეხეტება ცის ქვეშ, საზარელი ყვირილით მოუხმობს თავის მსგავსთ, მაგრამ ამაოდ. განწირული ცხოველი კვდება სადღაც და ქარი ზუზუნით აყრის ქვიშას, რომ მისი კვალიც არ დარჩეს...

არჩილმა ღვინო დალია და ისევ ფიქრს მისცა თავი.

...გაჰქრა იხტიოზავრი, გადაშენდა. იქნებ არჩილსაც ასე მოუვიდა. ვინ იცის? საეჭვოა მისი არსებობა. ადამიანის არაფერი სწამს. ღმერთი კიდევ უფრო ადრე დაივიწყა. არც შვილი ჰყავს. ცოლის სიყვარული აკავშირებდა ამ ქვეყანას და აქაც მარცხი. სულმოკლემ ვიღაცაში გასცვალა.

მამა ბედნიერი იყო. სიბერემდის შერჩა სახის იშვიათი სილამაზე, გაუტეხელი ჯანი და ის უნარი, რისთვისაც ცოლი უთუოდ გაპატიებს გრძელ ცხვირს, ელამ თვალს, უცაბედ ღალატსაც კი.

მოხუცებს დღესაც ახსოვთ ძისი პურმარილი. მწარე სინანულით მოგონებენ ცაცხვების ჩრდილში გაჭიმულ სუფრას, აზარფეშების ტრიალს, თარის კვნესას და დუდუკის ნელ ზუზუნზე ზურაბის გულდამწველ შიქასტებს და ბაიათებს.

უყვარდა ნადირობა. მაშინ იმ ოხერ მამულში ხშირი იყო გნოლი და კაკაბი, ხოხობი, ტყის ქათამი. გარეულმა ღორმა აფხაზეთის ტყეები გააცნო, ირემმა — ზეკარის მიდამოები.

ასე სიამით გაატარა წუთისოფელი.

ბედმა ბოლომდე დაინდო მოხუცი. მან ხუთი წლით გაასწრო რევოლუციის დღეებს.

აჩიკო იმ დროს თვრამეტი წლის **იყო. ახსოვს — დაკრძალვის შემდეგ,** როცა ოჯახი საშინელმა სიჩუმემ მოიცვა და უძილო ღამის გათენებას არაფერი ეშველა, სოფელში უცებ ატყდა ძაღლების ყეფა და მამლების უდროო ყივილი. მხოლოდ დილით გაიგეს ზურაბის ბედაური ცხენის დაკარგვის ამბავი. მაშინ ადგა ძაძებში გახვეული დედა, დაემხო წმინდა გიორგის ხატის წინ და საშვილიშვილოდ გადასცა ბანძელი ტურია ფალავა.

უბედურებას ხშირი სტუმრობა სცოდნია, თუ ერთხელ მოგაგნო. იმ ზაფხულზე ოჯახს ვაჭარი ფირუზა ოგანეზოვი მოადგა და მამის ვალში ოთხასი ქცევა მუხნარი ჩაიბარა.

დედა ამაყი იყო, მესხის ქალი. მტრის გულის მოსაკლავად შავები მაშინვე გაიხადა, როცა აცნობეს, რომ მისი ვაჟი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტია.

განა მარტო ბიძებმა, მთელმა გვარმა სთხოვა იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა. რატომ? ალბად, იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე შენიშნეს სიტყვის იშვიათი ნიჭი. თორმეტი წლის ბავშვმა ფოთოლა ერისთავის კუბოსთან წარმოთქმული სიტყვით გვარი ასახელა. მშობლებს მაშინვე უქადეს შვილის ბრწყინვალე მომავალი. ბეჟან მხეიძის საფლავზე თოთხმეტი წლისამ რუსთაველის სიტყვებით შესჩივლა საწუთროს და საერთო ქვითინი გამოიწვია.

ასეთი ამბავი სხვაც ბევრი მოაგონდა არჩილს ბოთლის დაცლამდე. გაიხსენა რუსეთში გამგზავრების დღე. რა ბედნიერი იყო მაშინ, საერთო ყურადღებით ცაში აფრენილი!

„აჩიკო მიდის“;—ამბობდნენ მოჯამაგირე გოგო-ბიჭები; „კეთილი გზა“,— ლოცავდნენ მეზობლები, რომლებმაც შინაურებთან ერთად პლატფორმამდე მიაცილეს ახალგაზრდა.

რუსეთიდან დიპლომით დაბრუნებული საგანგებოდ მოემზადა პირველი სისხლის სამართლის საქმის დასაცავად. აშკარა ბოროტმოქმედი სამუდამო კატორღას თუ არა, სახრჩობელას მაინც გადაარჩინა და სახელიც გაითქვა. მერე?.. ადარა ღირს ამის ქოქონება. წყეული იყოს ის ღამე! ოპერის ლოჟიდან თვალი მოჰკრა მისი ჰაფაწინა ტუჩების არაამქვეყნიურ ღიმილს. გააცნეს...

სწორედ იმ ხანებში ფედერალისტების პარტიამ მოციქული მიუგზავნა — ახალგაზრდა პატრიოტს არ შვენის განდეგილობა, ჩვენი ხართ, ჩვენთან უნდა იბრძოლოთო. ამას მოჰყვა რამდენიმე საჯარო ლექცია და პირველი წერილი გაზეთში: „როგორ გვესმის ჩვენ ხალხის და ერის სიყვარული“.

თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში ის ორატორობდა ყველა ტრიბუნიდან, ყველა ავტომანქანიდან.

მერე?.. მერე ორი წლის მანძილზე პარლამენტის შეუსვენებელ ორატორად ითვლებოდა. დღეს ვის ახსოვს ყოველივე ეს?..

ახლა? არჩილს ისევ მოაგონდა დღევანდელი სასამართლო პროცესი და სახეს სიმტკიცე დაეტყო. არა, არასოდეს აღარ დაუბრუნდება თავის უმადურ პროფესიას! მონახავს როგორმე გზას დამოუკიდებელი არსებობისათვის. ბოლოს და ბოლოს ნადირობაში ხომ ვერავინ შეუშლის ხელს? წელიწადში ერთი ტახი რომ მოჰკლას, ხორცად ეყოფა. ახლა ყურდღელი, ხოხობი და გარეული იხვი. მე თქვენ გეტყვით — მყიდველს ვერ იშოვის! სახლში მიაკითხავენ თუნდაც ამ რესტორანიდან. მისი ორლულიანი „ლებო“ საუცხოოდ სცემს ნიშანში. საფანტს და ტყვიას მონადირეთა ყავშირი არ მოაკლებს.

ნადირა!.. ეს იშვიათი ჯიშის ძუ პოინტერი ბაბალე გარდაფხაძისამ დაუთმო ქმრის დაკარგვის შემდეგ. საველე გამოცდის დროს ნადირამ საუკეთესო ყნოსვა და ძებნის უნარი აჩვენა. პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული, ჯიშიანი ძაღლების საგვარეულო წიგნშია შეტანილი. ნადირა არჩილის მარჯვენა ხელი იქნება, მისი ჭირისუფალი და ლხინის მოზიარე. განა სხვა ვინა ჰყავს დღეს ასეთი ერთგული მეგობარი? სამსახურიდან დაბრუნებულს ნადირა უთუოდ კიბესთან დახვდება, შეანათებს ჭკვიან თვალებს და იქვე მიხვდება პატრონის ავკარგს. თუ კმაყოფილი ნახა, სიხარულით აიკლებს იქაურობას, თუ არა და — წელში მოხრილი ჩვარივით ჩაიკეცება დერეფნის კუთხეში, მშიერიც რომ იყოს, საჭმელს პირს არ ახლებს. ალბად, ახლაც კიბეზე უცდის დაგვიანებულს

არჩილმა მაჩვენებელი თითის მოხრით მოიხმო ოფიციანტი, ფული მისცა და რესტორანიდან გავიდა.

გარეთ აღარ თოვს. მთაწმინდას უკვე მოუხდია ნისლის მანდილი. არჩილი მიდის დინჯი ნაბიჯით. დიდიხანია არ ყოფილა ასეთი კმაყოფილი. გვიან, მაგრამ მაინც ხომ ნახა თავისი ცხოვრების გზა. ამიერიდან არავის წინ არ მოიხრის ამაყ ქედს. დეე, მოშივდეს ხანდახან. არაფერია.

ეზოში შესვლისას ნადირა კიბეზე არ დახვდა. კარების გამღებს ეკითხება:

— გრუშა, სად არის ჩემი ნადირა?

ახალგაზრდა ქალმა ცისფერი თვალებით მწუხარება გამოხატა.

— ოი, არჩილ ზურაბოვიჩ, რა მოხდა, რომ იცოდეთ!

— რაო, რა მოხდა?

— მადლობა ღმერთს, არაფერი მომხდარა, მაგრამ რომ მომხდარიყო, რა ჩემი ბრალი იქნებოდა?

— ახ, სულელო! სთქვი მოკლედ, ნუ მიედებ-მოედები!

— დაიცადეთ, ვიტყვი. ნადირას დღეს ძალიან მოსწყინდა ოთახში, ნერვიულობდა. ეზოში ერთი წუთით გავუშვი და... დასწყევლოს ღმერთმა...

— ჰო!

— მეზობლის ნაგაზმა არშიყობა დაუწყო.

— ახ! მერე ხომ არაფერი...

— კინაღამ, მაგრამ ყოჩაღ გრუშა! სხვა რომ ვერაფერი ვიშოვე, დავავლე მუგუზალს ხელი და ისეთი დავცხე, რომ მთელ საათს კიოდა ზურგდამწვარი.

— მარჯვედ მოქცეულხარ! ახლა ეს მითხარი — საჭმელი მიეცი? ძალიან კარგი! გრუშენცია, ახლა მე დავწვები და ღამის სრულ თორმეტზე გამაღვიძე. სანადიროდ მივდივარ. მატარებლით, გესმის?

— მესმის. ყრუ კი არა ვარ.

○

კახეთის რკინიგზის პატარა სადგურზე კარგა ხანია ჩამოხტა და ახლა მიდის მაღალყელიანი ჩექმებით. ნაწვიმარი მიწა ფეხებს ეღება და სიარულს უძნელებს. თოფის მარჯვენა ლულა წვრილი საფანტით აქვს გატენილი, მარცხენა—ყაკანით. ნადირა ფეხთან მისდევს.

მალე კათეხდება. ცივგომბორის ფერდობზე მოხუც მონადირეს დაეწია. მასაც კისისხევისაკენ ჰქონია გზა. თავისი ძაღლის ქებას რომ მორჩა, ტრაბახი წამოიწყო. ამდენი და ამდენი ირემი მოუკლავს, ამდენი შველი და გარეული ღორი. ახლა სწუხს, რომ ძალიან იკლო ფრინველმა და ნადირმა.

სერიდან გამოჩნდა ჯერ კიდევ ბინდში გახვეული ალაზნის ველი. კარგა ხანს თვალი ვერ მოაშორეს. ბოლოს დალმართში დაეშვნენ და, როცა გაივაკეს, მარცხნივ კაკანით აფრინდა კაკბების გუნდი. მოხუცმა მონადირემ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და გაფრენილებს ხარბად გააყოლა თვალი. გუნდი ხევის ახლოს ჩაჯდა.

— მოდი, ბედს ვცდი! — სთქვა მოხუცმა და არჩილს გამარჯვება უსურვა.

ხევშიაც გათენდა. მარტო დარჩენილმა არჩილმა უდაბური ტყისაკენ იბრუნა პირი. ერთგან, ბუჩქის ახლოს, ნაპოვნი კურდღლის კვალი მალე დაჰკარგა და უეცარი ბედის მოლოდინში ძლივს მიდის ჟალტამში.

ნადირამ მგონი კვალს მიაგნო, — ნერვიულად ეძებს გაფართოებული ნესტოებით. უცებ სიარული შეანელა. გარინდულ ნაბულს ძაღლის კუნთების კანკალი მოჰყვა.

რაღაც უნდა იყოს, — იფიქრა თოფმომარჯვებულმა არჩილმა.

— ეცი!

ნადირას ნახტომზე ფრთების ტკაცუნით და უცნაური გრიალით აფრინდა მამალი ხოხობი.

იჭექა თოფმაც.

— ეჰ, დავაცილე! — მწარედ ჩაიქნია ხელი არჩილმა, დარცხვენით მიიხედ-მოიხედა და ლულას ახალი ვაზნა მისცა.

პირველი მარცხის შემდეგ არჩილმა დიდხანს იხეტიალა. ვერც კურდღლის ნაკვალევს წააწყდა, ვერც ხოხობი ააფრინა. დაქანცული უკან დაბრუნებას აპირებდა, როცა ნადირამ ლერწმებთან მიახლოებისას ისევ ნაბული გააკეთა.

— ეცი! — მოესმა ძაღლს პატრონის ხმა და მოწყვეტით გადაეშვა ლელიანში

წამიერი სიჩუმე უცებ საშინელმა ხრიალმა დაარღვია და ლერწმებიდან მაგრად დარტყმული ბურთივით გამოვარდა შავი ტახი. გავარდა თოფი

(დასასრული მე-4 გვ.).

ქართული საბჭოთა პოეზიის საღამო გორში

ქართული საბჭოთა პოეზიის საღამოს, რომელიც 12 აპრილს გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტმა ინსტიტუტის კლუბში მოაწყო, დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. საღამოს წარმატება უზრუნველჰყო ჩვენი ცნობილი პოეტების — გალაქტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მაშაშვილის და იოსებ გრიშაშვილის მონაწილეობამ და ინსტიტუტის ლექტორთა და სტუდენტთა მომზადებულმა გამოსვლამ.

საღამო გახსნა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა ამხ. ალ. ღლონტმა, რომელიც მიესალმა რა პოეტებს, მოკლედ შეჩერდა ქართული პოეზიის უკანასკნელი წლების მიღწევებზე.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების მოკლე მიმოხილვით გამოვიდა ამხ. ვ. წულუკიძე, რომელიც შეეხო ამ ოცი წლის განმავლობაში ქართული პოეზიის მიერ განვლილ ძირითად პროცესებს, ლიტერატურული ფაქტებით დაასაბუთა მისი იდეურ-მხატვრული ზრდა და მოხსენება შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: დღეს გორის მშრომელებთან სტუმრად არიან ჩვენი პოეტური ფრონტის მოწინავე მებრძოლნი, საუკეთესო ქართველი პოეტები, რომელთა ნაყოფიერი შემოქმედებით მუშაობასაც მიეწერება ის მიღწევები, ის მაღალი პოეტური ხარისხი, რომლებიც ქართულ საბჭოთა პოეზიას მთელი საკავშირო მწერლობის მოწინავე რიგებში აყენებენ. ის მაღალი დაფასება, რომელიც მოწინავე ქართველმა პოეტებმა ხალხისა, პარტიისა და მთავრობისაგან მიიღეს, მათ დიდ სტიმულს აძლევს და დაუშრეტელ შესაძლებლობას უქმნის წარმატებით გადასჭრან იდეურ-მხატვრული ზრდის ახალი პრობლემები, რათა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ სოციალისტური ეპოქის პოეზია.

მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დიდი ბელადის ყრმობის მეგობარმა ამხ. დორემიდონ გოგოხიამ, რომელმაც გაიხსენა რამდენიმე ეპიზოდი ბელადის მოწაფეობიდან და აღნიშნა, თუ რა უხვ წარმტაც მასალას იძლევა იგი ჭეშმარიტი პოეტური შემოქმედებისათვის.

მიწვეული პოეტების შემოქმედების სხვადასხვა მხარე თავიანთ სიტყვებში გააშუქეს ინსტიტუტის სტუდენტებმა ვ. ბაიაძემ, მ. მანჯავიძემ, ელ. ჭუბაბრიამ, ნ. ღონღაძემ, დ. მირიახაშვილმა, ი. ერემოვმა. მ. ხუციშვილმა და ე. კორკოტოვამ. მათ წარმოსთქვეს სიტყვები შემდეგ თემებზე: „გალაქტიონ ტაბიძის ლირიკის თავისებურება“, „გალაქტიონ ტაბიძე, როგორც სოციალისტური რევოლუციის პოეტი“, „ალიო მაშაშვილის „ენგური“, „კომკავშირი ალიო მაშაშვილის პოეზიაში“, „დიდი ბელადის სახე გ. ლეონიძის ლექსებსა და პოემებში“, „ფოლკლორული ელემენტი გ. ლეონიძის პოეზიაში“, „ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის მომღერალი“, „ახალი მოტივები ი. გრიშაშვილის პოეზიაში“, „ი. გრიშაშვილი, როგორც ლიტერატურის მკვლევარი“. ინსტიტუტის ლექტორმა ი. მაისურაძემ წაიკითხა მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად დამუშავებული მოხსენება — „გიორგი ლეონიძის პოეზიის ენობრივი თავისებურებანი“. სიტყვით გამოვიდა ლექტორი ი. ვართაგავა.

საღამოს მეორე განყოფილებაში მიწვეული პოეტების ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა ე. კორკოტოვამ, შ. ფიფიამ, ქ. ხახუტაშვილმა და ნ. ბერიშვილმა.

დასასრულ, საკუთარი ლექსები წარმოსთქვეს გიორგი ლეონიძემ, ალ. მაშაშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა და გალ. ტაბიძემ, რომელთაც აუდიტორია ხანგრძლივი მქუხარე ტაშით ხვდებოდა.

13 აპრილს საბჭოთა მწერლები მიიწვია რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პავლე ფრანგიშვილმა, სპექტაკლზე—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. სპექტაკლის დასასრულს მოხდა მწერლების შეხვედრა თეატრის კოლექტივთან.

„აბესალომ და ეთერი“

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ (ლიბრეტო ჰ. მირიანაშვილისა) კლავირი.

ეს პირველი გამოცემაა ქართული ოპერის კლავირისა. გამოცემულია იგი ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. თარგმანი შესრულებულია რ. ივნევის, ა. უანჩელის, მ. კვალიაშვილის და ე. ორბელიანის მიერ.

კლავირს წამძღვარებული აქვს რედაქტორის შ. ასლანიშვილის წინასიტყვაობა, სადაც მოკლედ გაშუქებულია ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება.

კლავირში მოთავსებულია ოპერის ტექსტი და 8 დამატება (სხვადასხვა ადგილის ვარიანტები).

წიგნს დართული აქვს მხატვარ უ. ჯაფარიძის მიერ დახატული ზ. ფალიაშვილის პორტრეტი. წიგნი შეიცავს XXIV+384 გვერდს, გამოცემულია 3.000 ცალად და ღირს 50 მანეთად.

წიგნის საერთო გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ლ. გუდიაშვილს.

კონკურსი ჟურნალისტულ და აღკინინისტურ სიმღერაზე

გაზეთ „სოვეტსკი ტურიზმ ი ალპინიზმ“-ის რედაქცია საკავშირო პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებასთან ერთად აწყობს კონკურსს ტურისტულ და ალპინისტურ სიმღერაზე.

კონკურსზე წარდგენილი ნაწარმოებები უნდა იყვნენ მაღალი იდეურ-მხატვრული ხარისხისა, გამოხატავდნენ საბჭოთა ტურისტებისა და ალპინისტების მამაცობასა და თავგანწირვას, მშობლიური ქვეყნის, მისი ბუნების სიმდიდრეს, ისტორიული წარსულის გაცნობის სიხარულს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას, საბჭოთა პატრიოტიზმს, ტურისტთა და ალპინისტთა შორის ამხანაგობასა და ურთიერთის დახმარებას, მათ მზად ყოფნას სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის.

პოეტებსა და კომპოზიტორებთან ერთად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს. სიმღერა დაწერილი უნდა იყოს ერთხმიანი ან ორხმიანი გუნდური ფორმით ფორტეპიანოს ან ბაიანის თანხლებით. საკონკურსო ნაწარმოების წარმოდგენა შეიძლება როგორც ცალკე პირის მიერ, ისე კოლექტიური შემოქმედების სახით.

კონკურსზე მარტო ლიტერატურული ტექსტის წარდგენაც შეიძლება.

საუკეთესო ნაწარმოებზე დაწესებულია ექვსი პრემია: სამი ტურისტული და სამი ალპინისტური სიმღერისათვის.

პირველი პრემიები — 2.000 მანეთი თითო.

მეორე პრემიები — 1.500 მანეთი თითო.

მესამე პრემიები — 1.000 მანეთი თითო.

ყოველი პრემია იყოფა თანასწორად ტექსტისა და მუსიკის ავტორებს შორის.

ლიტერატურული ტექსტი შეიძლება წარდგენილ იქნას საბჭოთა ხალხების ყველა ენაზე.

საკონკურსოდ წარდგენილ ნაწარმოებს მხოლოდ დევიზი მოეწერება. ავტორის სახელი, გვარი და მისამართი უნდა ჩაიდოს კონვერტში, რომელზედაც წარწერილი იქნება იგივე დევიზი.

კონვერტი და ნაწარმოები ერთად უნდა გაეგზავნოს გაზეთ „სოვეტსკი ტურიზმ ი ალპინიზმ“-ის რედაქციას შემდეგი მისამართით: **Москва, Петровка 12, ком. 84, для конкурса.**

საკონკურსო ნაწარმოები წარდგენილ უნდა იქნას 1941 წლის 1-ლ მაისამდე.

აკად. ნიკო მარი და „ამირან დარეჯანიანის“ სადაურობის პრობლემა *

ივ. ლოლაშვილი

აკად. ნიკო მარის ახალმა აზრმა „ამირან-დარეჯანიანის“ შესახებ მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა. 1895 წელს ს. პავლიაშვილმა აკადემიკოს მარის წინააღმდეგ დასტამბა წერილი: „ბატონ მარის აზრი „ამირან-დარეჯანიანზე“ („ივერია“, 1895, № 161), სადაც მან „ამირან-დარეჯანიანის“ სპარსულობა, რასაც აკად. ნ. მარი მეცნიერულად ასაბუთებდა, შეუძლებლად მიიჩნია და აბუჩად აიგდო თვით ავტორი. აკად. ნ. მარმა,— სწერს იგი — „მიივიწყა თამამად და უშინაარსო სიამაყით წამოყენებული სიტყვები შოთაზე და ახლა იმავე რიხითა და გამბედაობით გაილაშქრა მოსე ხონელის წინააღმდეგ... ბ-ნ მარის წერილში საბუთების მაგიერ წინაღებული აზრია წამოყენებული ქართულ ლიტერატურის დასამცირებლად“. (იქვე)

აკადემიკოს მარზე „თავდასხმა“ ამ წერილით არ დამთავრებულა. პაექრობაში ქართული ლიტერატურის მკვლევარნიც ჩაერევნენ და დაკამდიდხანს გასტანა.

1895 წელსვე ქართულ ენაზე დაიბეჭდა მოსე ჯანაშვილის ნარკვევი „მოსე ხონელი და მისი „ამირან-დარეჯანიანი“, სადაც მან „ამირან-დარეჯანიანთან“ დაკავშირებული პრობლემები განიხილა და ყველას თავისებური პასუხი გასცა. ამ ისტორიკოსმა ცნობილი ძეგლი ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნია და აღნიშნა: „ამირან-დარეჯანიანი“ წარმოადგენს ალეგორიულ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიც ასახულია არათა მფლობელობის დროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა“.

ეს მოსაზრება იმავე წლის ოქტომბერში აკად. მარმა უკუაგდო, როგორც გულუბრყვილო და მიუღებელი, ხოლო ნარკვევს „გასართობ კურიოზების კრებული“ უწოდა.(ЖМНП) 1895 წელი, 10, 324-328). სულ მალე, 1896 წელს, მოსე ჯანაშვილმა ოპონენტის მოსაზრებათა ვრცელი კრიტიკა მოგვცა და კვლავ თავისი პირვანდელი შეხედულება გაიმეორა **„О происхождении грузинских классиков—„Новое обозрение,“ 1896, № 4280, 4280 და 4285.**

1896 წლის დამლევს გამოვიდა „ამირან-დარეჯანიანის“ სრული ტექსტი ზაქარია ჭიჭინაძის ვრცელი გამოკვლევით და ხალხური „ამირანიანის“ ვარიანტებით. როგორც „ამირან-დარეჯანიანის“ გამომცემელი აღნიშნავდა, ძეგლის დაბეჭდვის მიზეზი ყოფილა ის კამათი, რომელიც მკვლევართ შორის „ამირან- დარეჯანიანის“ შესახებ ატეხილა („ამირან-დარეჯანიანი“, 1896, გვ. 397).

1897 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის „პიტალური ნაშრომი: **„Очерки по истории грузинской словесности,“** ტომი მეორე. ავტორი დაწვრილებით შეჩერდა „ამირან-დარეჯანიანის“ საკითხებზე (გვ. 154-169). მკვლევარმა ე. წ. შემარიგებელი პოზიცია დაიკავა და ალექსანდრე გრენის ბუნდოვანი შეხედულება გაიზიარა. მისი აზრით, „ამირან-დარეჯანიანი“ არ არის თარგმნილი ძეგლი, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთი ადგილი სპარსულიდან იყოს გადმოკეთებულიო. („Очерки“... მეორე ტომი გვ. 160). „ხონელი სარგებლობს სხვადასხვა ზეპირი თქმულებებით, აკოწიწებს მათ ერთმანეთთან და აძლევს ერთიანობის ხასიათს“ (ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1913. 1,172). „მაშასადამე, — დაასკვნის პროფესორი, — ძეგლის ავტორი იყენებს როგორც წერილობით მასალებს, ისე ფოლკლორულ წყაროებს („Очерки“, 2,160). ამგვარად, პროფ. ალ. ხახანაშვილმა, ერთის მხრით, „ამირან-დარეჯანიანი“ მიიჩნია ქართული ხალხური თქმულებების ლიტერატურულ გადამუშავებად, ხოლო, მეორეს მხრით, მისი სპარსულიდან თარგმნილობა ნაწილობრივ გაიზიარა და თან აკად. მარს ცალმხრივი კამათი დაუწყო.

1899 წელს მოსე ჯანაშვილმა დავა ხელახლა წამოიწყო: „СМОМПК“-ს წიგნში აკად. მარის ნარკვევებზე („Из книг царевича Баграта“) აღნიშნა, რომ „დარეჯანიანი“, რომელსაც ბაგრატ მუხრან-ბატონი გულისხმობს, და მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“ სხვადასხვა ნაწარმოებია (გვ. 98). მან იგივე აზრი შემდეგშიც გაიმეორა: „ადრეა ჯავახიშვილივით ვთქვათ: „დამტკიცდა“ დარეჯანიანისა და ამირან-დარეჯანიანის ოგივეობაო“ („ი. ჯავახიშვილის ერთი წერილის გამო“. „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2472).

1904 წელს ჯერ „ცნობის ფურცელში“, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნის სახით დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის ნარკვევი: „მამულიშვილობა და მეცნიერება“. მან „ამირან-დარეჯანიანის“ შესახებ საცილობელი საკითხები აკად. მარის სასარგებლოდ კადაწყვიტა („ციტირებული ნაშრომი“, გვ. 34.-39).

ამიერიდან ათწლიანი კამათი დასრულდა. მართალია, მოსე ჯანაშვილმა და პროფ. ა. ხახანაშვილმა ჯერ-ჯერობით ერთ-ერთ ძველი აზრები, მაგრამ მათი ნათქვამი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. აკად. ი. ჯავახიშვილის გამოსვლის შემდეგ პრიორიტეტი „ამირან-დარეჯანიანის“ სპარსულობის თეორიას მიეწიჭა და ყველა მკვლევარის მიერ უყოყმანოდ გაზიარებულ იქნა. ასე, მაგ. 1908 წელს აკად. ნ. მარის მოსაზრება მიიღო პროფ. იუსტ. აბულაძემ (ე. თაყაიშვილი — „ძველი საქართველო“, 1, 1909, 79), 1913 წელს — ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ („ვეფხისტყაოსანი“, მისი რედაქციით, 1913, 37-38), 1924 წელს — პავლე ინგოროყვამ („კავკასიონი“, № 1-2, 283) და პროფ. კ. კეკელიძემ („ქართული ლიტერატურის ისტორია“, 2, (924, 53-55) და 1930 წელს — პროფ. კ. დონდუამ („ლიტერატურული ენციკლოპედია“, ტომი მესამე, 47). სამწუხაროდ, ამ მკვლევართაგან არავის უცდია „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ყისაი-ჰამზას“ ურთიერთდამოკიდებულების განხილვა. პრობლემა, რომელიც 1899 წელს აკად. ნ. მარმა ღიად დასტოვა, ჯერ-ჯერობით უპასუხოდ რჩებოდა. ამიტომ, ამას ზემოდ დასახელებული მკვლევარნი თუ არა, ყოველ შემთხვევაში სხვა მეცნიერი მაინც გაარკვევდა. ეს ასეც მოხდა. მისი განხილვა წილად ხვდა პროფ. ალ. ბარამიძეს.

აკად. ნ. მარის დახმარებით პროფ. ა. ბარამიძეს ხელთ ჩაუვარდება ბომბეიში გამოცემული „დასთან-ამირ-ჰამზას“ („ყისაი-ჰამზა“) ლითოგრაფიული ტექსტი, რომელიც მან გულდასმით შეუდარა „ამირან-დარეჯანიანს“. ტექსტუალური შეჯერების შედეგად გამოირკვევა, რომ „ამირ-ჰამზას“ მოთხრობას ისეთი მომენტებიც კი ახასიათებენ, რომელნიც არა თუ პარალელს ვერ ჰპოულობენ „ამირან-დარეჯანიან“-ში, არამედ დიამეტრალურადაც განსხვავდებიან მისგანო. (პროფ. ა. ბარამიძე — „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ 1, (1932, 42). ამიტომ, — დაასკვნის მკვლევარი, — „ამირან-დარეჯანიანის“ ორიგინალად „ყისაი-ჰამზა“ ოდნავადაც კი ვერ ჩაითვლება“ (იქვე, 45).

პროფ. ა. ბარამიძემ მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა: მან ყველა მკვლევარს მისცა შესაძლებლობა „ყისაი-ჰამზას“ შინაარსის გაცნობისა და სათანადო დასკვნების გამოტანისა, მაგრამ ამასთანავე ნებსით თუ უნებლიედ, მან პირველმა შეიარაღა სპარსულობის აღმნიშვნელი თეორია და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა იგი. „ამირან-დარეჯანიანის“ კვლევის ისტორიაში აკად. ნ. მარს შემდეგ ეს არის მეორე ახალი პერიოდი, რომლიდანაც სპარსულობის აღმნიშვნელ თეორიაში ეჭვი უნდა შეპარულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროფ. ა. ბარამიძე გონებამახვილურ, თუმცა წინამდებარე წერილის ავტორისათვის მიუღებელ, „პამოსავალს“ ჰპოვებს და, პირიქით, „ოდნავადაც არა სვამს კითხვას „ამირან-დარეჯანიანის“ ფაბულის ორიგინალობის“ შესახებ“ (იქვე,45). მისი აზრით, „ყისაი-ჰამზას“ არაბული ვერსიის წაბაძვით ან უკეთ, საპასუხოდ ირანში შექმნილა ჩვენთვის უცნობი სარაინდო თხზულება, რომელიც სპარსულ-ნაციონალური და ანტიარაბული ტენდენციის შემცველი ყოფილა. შემდეგ, ეს თხზულება ქართველებს უთარგმნიათ (თუ გადმოუკეთებიათ) და დღევანდლამდე „ამირან-დარეჯანიანის“ სახით მოღწეულა (იქვე, 45-46),

ამ მოსაზრებით პროფ. ბარამიძემ ნაწილობრივ აღადგინა აკად. ნ. მარის ძველი შეხედულება, რომელიც 1895 წლის ივნისში გამოითქვა. ამასთან მან შესამჩნევი ცვლილებაც შეიტანა მასში: აღნიშნა, რომ „ამირან-დარეჯანიანში“ ანტიარაბული ტენდენცია არსებობს, ხოლო შემდეგ აზრი გამოთქვა საგულვებელი სპარსული ორიგინალის შესახებ.

პროფ. ა. ბარამიძის ნარკვევით დაიწყო აკადემიკოს ნ. მარის თეორიის თანდათან გაშლა. 1936 წელს, როდესაც გამოქვეყნდა პროფ. იუსტ. აბულაძის წერილი: „ამირან-დარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხისათვის“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 3, 31-35), სპარსულობის აღმნიშვნელ თეორიაში ეჭვი შევიდა და მხოლოდ „ამირან-დარეჯანიანის“ ამბავი იქნა ჩათვლილი არა ორიგინალურად. პროფ. იუსტ. აბულაძის აზრით, „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ მსგავსი სადევგმირო მოთხრობების შემცველი ამბები ძველად შექმნილა ირანში. იქიდან ზეპირი გზით პროზულად შემოსულა საქართველოში და მერე ქართველ მწერლებს „გამოუყენებიათ ისინი თავიანთი ნაწარმოებების სუჟეტებად“ (იქვე, 35). „ამირან-დარეჯანიანში“, — წერს ის, — ჩვენ გვაქვს უძველესი ქართული პროზული ნაწარმოები, რომელიც ზეპირი გზით შემოჭრილა მაჰმადიანურ ირანული სამყაროდან და ქართველი ხალხის ფანტაზიას თავისებურად გარდაუქმნია მისი ფაბულურ-სუჟეტური სახე“ (იქვე). ამ დებულებიდან ირკვევა, რომ: ა) „ამირან-დარეჯანიანის“ პირველი წყაროები ზეპირსიტყვიერი თქმულებებია, რომლებიც ისლამიზირებულ ირანიდან შემოსულა საქართველოში და ბ) იგი მხატვრულად გადაუმუშავებიათ ქართველ მწერლებს.

პროფ. იუსტ. აბულაძის მოსაზრება ჰიპოთეზაა, რომელიც აპრიორულ მსჯელობებზეა დამყარებული და მისი გაზიარება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, იგი საინტერესო და საყურადღებოა. სამწუხაროდ, სარგის კაკაბაძემ „ამირან-დარეჯანიანის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში პროფ. იუსტ. აბულაძე სრულიადაც არ მოიხსენია, თითქოს პატივცემული ირანისტი ამისი ღირსიც არ ყოფილიყო.

1939 წლის დასაწყისს სარგის კაკაბაძის რედაქციით და წერილით გამოვიდა „ამირან-დარეჯანიანის“ მეორე გამოცემა.

ს. კაკაბაძის მიერ შესავალ წერილში გამოთქმული შეხედულება „ამირან-დარეჯანიანის“ სადაურობაზე, დაუსაბუთებელია და წარმოადგენს პროფ. ა. ხახანაშვილის მოსაზრებათა უცვლელ გამეორებას. „საკითხი, — სწერს ისტორიკოსი, — „ამირან-დარეჯანიანის“ ირანულიდან გადმოთარგმნის შესახებ უნდა მოიხსნას; არავითარი ცოტათ თუ ბევრად სერიოზული საბუთი ამ აზრის სასარგებლოდ ეხლა უკვე არ არსებობს“ („ამირან-დარეჯანიანი“, 1939, XI). („ამირან დარეჯანიანი“ წარმოადგენს ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებს“ (იქვე, XVIII).

1938 წლის ივლისში პროფ. კ. კეკელიძემაც აღნიშნა, რომ «Нет достаточно убедительных оснований к тому, чтобы произведение («Амиран-Дареджаниани». И. Л.) признать переводом с персидского... Сочинение представляет литературную обработку вращавшихся в народе устных сказаний восточного типа» («Конспективный курс истории древне-грузинской литературы», 1939, стр. 57-58)

„ამირან-დარეჯანიანის“ სპარსულიდან თარგმნილობა უარჰყო აგრეთვე პავლე ინგოროყვამ და აკად. ივ. ჯავახიშვილმა.

ამგვარად, თანამედროვე მეცნიერებაში აკად. ნ. მარის თეორიას დაუპირისპირდა „ამირან - დარეჯანიანის“ ორიგინალობის აღმნიშვნელი თეორია, თუმცა მკვლევართა მიერ ეს უკანასკნელი დასკვნითი დებულებების სახით აღინიშნა. ასეთი კატეგორიული განცხადება მიგვითითებს იმაზე, რომ სპარსულობის აღმნიშვნელ მოსაზრებაში რაღაც საეჭვო ადგილებია და რომ საჭიროა მისი მცდარობა-ჭეშმარიტების დროულად გამორკვევა. ამ საკითხის აუცილებელი განხილვა უფრო იმით არის გამოწვეული, რომ 1918 წელს „ამირან-დარეჯანიანის“ ფაბულის არაორიგინალობაში ეჭვი თვით აკად. ნ. მარმა შეიტანა.

*) იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წ. № 5.

საგზვარგარეთ

„ორიგინალური“ წინადადება

ომმა ბევრი ინგლისელი მწერალი მეტად ცუდ პირობებში ჩააყენა. ამას წინად ინგლისელი მწერალი ქალი ნაომი როიდ-სმიტმა დაბეჭდა წერილი, რომელშიაც იგი აღწერს ომის გამო ინგლისელ მწერალთა კატასტროფულ მდგომარეობას. ყველაზე უფრო გაჭირვებულ მწერალთა დასახმარებლად როიდ-სმიტმა „ორიგინალური“ წინადადება წარადგინა. იგი მიმართავს გამომცემლებს — „თავიანთ კმაყოფაზე“ აიყვანონ ისეთი მწერლები, რომლებიც „გაჭირვებას განიცდიან და რაიმე მიზეზით სამხედრო ხაზით არ არიან გამოყენებულნი“.

ასეთ მწერლებს უნდა მისცენ ბინა, კვება და საწერი მოწყობილება. ყველაფერი ეს უნდა ჩაითვალოს თავისებურ ჰონორარად. ამით, როიდ-სმიტის აზრით ორი მიზანი იქნება მიღწეული: ერთის მხრით, მოიგებს მწერალი, — აიცდენს შიმშილს და გაჭირვებას, მეორეს მხრივ — გამომცემელიც არ დარჩება წაგებული. რადგან იგი „კმაყოფაზე“ მყოფ მწერლებისაგან იაფ ფასად ლიტერატურულ პროდუქციას მიიღებს.

რამდენი ენაა ქვეყანაზე?

როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, გამოჩენილ მეცნიერთა აზრით, მსოფლიოში მცხოვრებ ხალხებს ერთ დროს 6.760 ენაზე ულაპარაკნიათ. აქედან ახლა მხოლოდ 2.796 ენაზე ლაპარაკობენ. დანარჩენი ენები უკვე მკვდარ ენებად ითვლებიან.

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ენად ითვლება ინგლისური, შემდეგ რუსული, გერმანული, ფრანგული, პორტუგალური და იტალიური.

აღმოსავლურ ენებში ყველაზე გავრცელებულია ჩინური ენა.

ოაკაზოი

დასასრული

და წელგადატეხილი ღორი იქვე დაეცა.

„მოჰკვდა! არა, მძიმედ დაიჭრა! სულ ერთია ვეღარსად წავა!“

— ნადირა, ვაშა! ყოჩაღ, ნადირა! — აქებებს არჩილი ძაღლს.

შესცდა არჩილი. უზომოდ აღელვებულს დაავიწყდა მონადირისათვის საკალდებულო მცნება: „ძაღლს ნუ აიჩქარებ, დაჭრილთან ნუ მიუშვებ“.

ისევ მოისმა დაჭრილი ღორის ხრიალი და ნადირას კიბილმა ჰაერი გააყრუა. არჩილს თავზარი დასცა ამ ხმამ. თითქოს ფეხები შეუკრესო, ნაბიჯიც ვერ გადასდგა წინ. ბოლოს ძალა მოიკრიბა, წავიდა ბარბაცით და ნეტავი არ ენახა: დაჭრილი ტახი ჯერ კიდევ ცოცხალია, წელებ გამოყრილი ნადირა კი კვდება. იცნო პატრონი, ერთი შემოხედა საყვედურით სავსე თვალებით და სიკვდილის ზმორებით გაიჭიმა.

დიდხანს იდგა არჩილი უხმოდ, გაფითრებული. ბოლოს ძლივს გამოერკვა.

— მაპატიე, ჩემო ნადირა, — დაიწყო ცრემლმორეულმა, — ჩემი ბრალია შენი დაღუპვა. რა დააშავე? რა დააშავე, ამ ოხერი ღორისთვის რომ გაგწირე ერთგული მეგობარი? ნუ თუ აქ უნდა დაგტოვო მშიერი მგლისა და ფოცხვერის არჩივად?!

მცირე პაუზის შემდეგ:

— როგორ გავძლო უშენოდ? ჩემს უბედურ ოჯახში დაბრუნებულს, აწი ვინ შემხვდება ალერსით? ვერ დაგაფასე. უფრო მეტი მზრუნველობის ღირსი იყავი ჭკვიანი და კეთილშობილი.

ღრმად ამოიოხრა.

ირგვლივ ტიალი მინდვრის მკვდრეული სიჩუმეა. მთის მსუბუქმა ჰაერმა არჩილს ხმა დაუწმინდა. ნელი ბგერით დაწყებულ სიტყვას თანდათან აგზნების ცეცხლი ეკიდება და აი უეცრად შადრევნივით იფეთქა მთელი წლობით ჩახშულმა ძალამ.

დიდხანს გაგრძელდა ეს სიტყვა და ვინ იცის, როდის ოამთავრდებოდა, რომ შემთხვევით გამვლელი ორი გლეხი გაკვირვებით არ შეჩერებულიყო.

— ე რა მოსვლია ამ კაცსა?

— უბედურება, — თავის მწარე ჩაქნევით სთქვა არჩილმა: — დაჭრილმა ტახმა ძაღლი მომიკლა, თავს რომ მერჩია ისეთი. დამიმარხეთ წესიერად და ფულს არ დავზოგავ.

სოფლელები რაღაცას ჩაუფიქრდნენ. ერთმა მათგანმა კეფა მოიფხანა.

— აქ მიწა კაჟივით მაგარია. დიდი შრომა დასჭირდება. ბარიც შორიდან უნდა მოვიტანოთ.

— ფულსაც სწორედ ამიტომ გაძლევთ.

— რითვინაო? ფულს რას გემართლებით შე კაი კაცო! აი ამ ღორს თუ მოგვცემ?

ღორის თრევა ძნელი იყო და არჩილიც დასთანხმდა.

O

უბედურება მოუშორებელი ჭირი ყოფილა, თუ ერთხელ მოგაგნო. წინა დღის ხეტიალით და მღელვარებით მოქანცულს მკვდარივით ეძინა, როცა კარი გაიღო და ოთახში მსუქანი ბატივით შემოცურდა ფეხშიშველი გრუშენკია. ფანჯრების დარაბა ფრთხილად გააღო და უკან დაბრუნებულს სწორედ ლოგინის წინ დაუცდა ფეხი გალაქულ იატაკზე. მიწის ძვრა დასიზმრებულ არჩილს გულისძგერით გაეღვიძა.

— რა... რა... რა მოხდა! ადე ზევით!

ქალმა თვალებზე ხელი მიიფარა.

— ოი, არჩილ ზურაბოვიჩ, მეშინია! მგონი დავიღუპეთ.

— ფეხი ხომ არ იღრძვე?

— არა, ფეხი რა შუაშია.

— მაშ რა ღმერთი გიწყრება, ადი მეთქი!

გრუშა შარჯვენა ხელით იატაკს დაეყრდნო, მარცხენათი მუხლს და დიდი სიფრთხილით წამოდგა.

— ოი, ოი ეს რა მოგვივიდა! ამას როგორ ვეღოდი! ფრთხილად ვიყავით, მაგრამ...

არჩილს ისევ მოაგონდა დაღუპული ნადირა და მწარედ დაღონებულმა შეწუხებული თვალები ჭერს მიაპყრო.

— სამი დღის წინათ, — დაიწყო გრუშამ დარცხვენით, — ტანმა რაღაც მიგრძნო. გუშინ კი, თქვენ რომ სანადიროდ იყავით, მთელი დღე გულის რევა მქონდა.

არჩილი ისევ გრუშას მიაჩერდა. ქალის გაფითრებული სახე მას თითქოს თანაგრძნობას სთხოვდა.

— ამ დილით, როცა თქვენ გეძინათ, არჩილ ზურაბოვიჩ, ამბულატორიაში მივედი. ექიმს თავი გავასინჯე და მითხრა...

არჩილი წარბშეკვრით შეეკითხა:

— ჰო, რა გითხრა?

— ორსულად ხარო...

ლოგინში მწოლს მწარედ გაეღიმა, მაგრამ იქვე იგრძნო, რომ ეს ღიმილი უადგილო იყო. უცებ გაბრაზდა და მეუტია.

— აქედან გამეცალე შე... ეს მაკლდა სწორედ! ორსულად ბრძანდება ქალბატონი! მერე მე რა შუაში ვარ!

გრუშა გამბედავი აღმოჩნდა.

— უკაცრავად! გაფრინდა ის დრო, თქვენისთანების რომ გვეშინოდა. აღარ დაბრუნდება. მე რა შუაში ვარო! რატომ არ გრცხვენიათ? ვინ იყო მოსვენებას რომ არ მაძლევდა იმ პატარა საკუჭნაოში? დაგავიწყდა? გაგახსენებ იქ, სასამართლოში, სადაც თქვენ ყოველდღე დაბრძანდებით. ვნახოთ, ვინ მოიგებს.

არჩილი მიხვდა, რომ აქ მრისხანეობა არ გასჭრიდა. ჩახველებით ხმა ჩაიწმინდა და ტკბილად დაუწყო დამშვიდება:

— მერე რამ შეგაშინა გრუშენკია? ამ უბედურებას სულ ხუთასი მანეთი უშველის. ნუ სჯავრობ! მე აქ ნაცხობი ექიმი მყავს. დავიბარებ. ფული კანონს დაავიწყებს და ჩუმად მოგიშლის მუცელს. გესმის?

— მესმის, მხოლოდ ჭკუაში კი არ მომდის ეს სიტყვები. ნუ ჯავრობო! რა მაქვს სამწუხარო! მე მაშინ ვწუხდი, როცა ოცდაშვიდი წლის ქალს შვილი დამაგვიანდა. ახლა მყავს და მოვიშალო? უკაცრავად!

— კარგი, კარგი გრუშა! მაცალე მოფიქრება, — სთხოვა არჩილმა კმაყოფილ გრუშას და, მარტო დაოჩენილმა თმაში ხელი წაივლო.

— როგორ? ვიღაც ვზარდო იმისთვის, რომ ბოლოს ჩემი შვილი უწოდონ! არა, ეს არ მოხდება!

და ყოველმხრივ შეურაცყოფილი არჩილი ახლა მზად არის სიხარულით შეხვდეს ისეთ მიწისძვრას, რომელიც ყველაფერს გაანადგურებს...

საკუჭნაოში ტახტზე წამოწოლილი გრუშა კი თავისთვის რაღაცას ლაპარაკობს:

— მუცელი მოიშალეო! დიაღ, სწორედ მაგ ჭკუაზე ვარ! აი, აქ ახლა პატარა ბიჭუნა მყავს. უთუოდ ბიჭუნა! ჩემი სიცოცხლე, ჩემი იმედი...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ!

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, ბ. ლეონიძე, ბ. ნატროშვილი, შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. ფულუკიძე.

რედაქციის მისამართი მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ᲣᲔ 18153

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.